საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 3 სექტემბერი, 2015 წელი.

№164 (7809)

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბოჭდვური სიფცვაა, ფცუილებით და ჭირებით ბურთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.

ელჩებმა უნდა იელჩონ...

გუშინ ყველამ ერთად მოიყარა თბილისში თავი

პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, აუცილებელია, ელჩებმა საქართველოში განხორციელებული რეფორმირების წარმოჩინების კუთხით მათი ჩართულობის მნიშვნელობა გაიაზრონ.

ამის შესახებ ღარიბაშვილმა ჟურნალისტებს გუშინ ამბასადორიალის გახსნის შემდეგ განაცხადა. მისი თქმით, მთავრობა მაქსიმალურად ხელს შეუწყობს ელჩებს. პრემიერის თქმით, მისთვის დიდი პატივი იყო გაეხსნა ამბასადორიალი, ვინაიდან, ეს არის ძალიან კარგი ტრადიცია, როდესაც დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს შესაძლებლობა აქვთ ჩამოვიდნენ და უშუალოდ ადგილზე შეხვდნენ საქართველოს მთავრობის წევრებსა და ყველა იმ პირს, ვისთან ურთიერთობა მათთვის მნიშვნელოვანია.

მნიშვნელოვანია ერთობლივად დავსახოთ სამოქმედო გეგმები, ვისაუბროთ იმ ნაკლოვანებებზე და ჩავარდნებზე, რომელიც შეიძლებოდა რომ ყოფილიყო. მე მინდა გავააქტიუროთ ურთიერთობა მთავრობასა და ელჩებს შორის. მე მესმის ის როლი და ფუნქცია, რომელიც ჩვენს ელჩებს აკისრია და საჭიროა ამ პოტენციალის სრულად გამოყენება, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა და დასძინა, რომ საჭიროა მეტი ჩართულობა და აქტიურობა.

ჭკუა თავშია და არა სკამში! 6

აქაც ფულია მთავარი!

კონტრაქტორები უარს აცხადებენ ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის მშენებლობაზე? 5

ესეც ეროვნული ბანკის ბრალია!

ლომბარდებში მსესხებელთა რაოდენობა გაორმაგდა

6

ისრაელელებისთვის საქართველო მეორე სამშობლოა

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი რაჭას სტუმრობდა. სოფელ უწერას მოსახლეობასთან შეხვედრისას ადგილობრივებს გაესაუბრა და მათ პრობლემებს გაეცნო.

მთავრობის მეთაურმა უწერას მცხოვრებთ რიონის კალაპოტის გამაგრებას, გაზიფიკაციას და მიწების დაკანონების პროცესში დახმარებას დაჰპირდა.

„წლების განმავლობაში არანაირი ყურადღება არ ექცეოდა მთას და ამის შედეგი არის ის უმძიმესი სურათი, რაც ჩვენ ყველამ ერთად ვიხილეთ. მთა იცლება, ოჯახები ტოვებენ სახლ-კარს და მიდიან ქალაქში, რაც არის დიდი შეცდომა. ჩვენ დავიწყეთ წინა მთავრობების შეცდომების გამოსწორება. მივიღეთ მთის კანონი, რომელიც იყო ჩვენი წინასაარჩევნო დაპირება და რომელიც 1 იანვარს შევა ძალაში. გაწერილია მთელი რიგი ღონისძიებები, შეღავათები, რომელსაც ჩვენ დავუწესებთ მთაში მცხოვრებ მოსახლეობას. კერძოდ, განსხვავებული ხელფასები ექნებათ პედაგოგებს, ექიმებს. პენსიონერებს გაეწევათ დახმარებები. ძალიან მნიშვნელოვანი არის ის, რომ მთაში საწარმოები მთლიანად გათავისუფლდება მოგების და ქონების გადასახადისგან. ასევე საშემოსავლო გადასახადისგან იქნებიან გათავისუფლებულები 10 წლის განმავლობაში. ამას გარდა, დემოგრაფიული სურათის გასაუმჯობესებლად, თითოეულ ახალდაბადებულზე 100 ლარს მიიღებს ოჯახი თვეში, ყოველ მეორე და მესამე ბავშვზე 200 ლარს, რაც ვფიქრობ, იქნება კარგი დახმარება მთავრობის მხრიდან. ასევე ვფიქრობთ, რომ ამ შეღავათების ამოქმედების შემდეგ მთაში უნდა დაიწყოს სერიოზული ცვლილებები. ძალიან ბევრი უცხოელი ჩამოდის და აქ ყიდულობს სახლს, მაშინ როცა ჩვენი მოქალაქეები, ქართველები მიდიან და ტოვებენ სახლ-კარს. ამიტომ, მთავრობამ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ მთაში დავამაგროთ მოსახლეობა და გავაძლიეროთ მთა და სოფელი,“ – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

პრემიერ-მინისტრი ონში სინაგოგის 120 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებასაც დაესწრო.

„ეს სინაგოგა აღადგინა თქვენმა მეგობარმა, ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა. მინდა დიდი მადლობა გადავუხადო მას, რომელიც არის გამორჩეული მეგობარი ებრაელი ხალხის. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ ამ სამი წლის განმავლობაში გაძლიერდა ჩვენს შორის 26-საუკუნოვანი ძმობა და მეგობრობა. მისი დამსახურებაა, რომ ჩვენი მოქალაქეები უვიზოდ მოგზაურობენ ისრაელში და მისი დამსახურებაა ის, რომ დღეს აქ შეკრებილებს მოგვეცა საშუალება ერთად ვიზეიმოთ ონის სინაგოგის 120 წლისთავი“, – აღნიშნა პრემიერმა.

სიტყვით გამოსვლისას ირაკლი ღარიბაშვილმა ქართველებისა და ებრაელების მრავალსაუკუნოვან მეგობრობაზე ისაუბრა.

ისრაელის ელჩმა საქართველოში, იუვალ ფუქსმა საქართველოს მთავრობას და ყოფილ პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს მადლობა გადაუხადა ონის სინაგოგის რესტავრაციისთვის. მისი განცხადებით, საქართველოში მდებარე ყველა სინაგოგის, მათ შორის 120-წლიანი ონის სინაგოგის აღდგენა-რესტავრაცია სწორედ ბიძინა ივანიშვილის დახმარებით მოხდა.

ხათუნა ლაგაზიძე: დასავლეთის მიმართულებას ხიდაშელ-კვირიკაშვილის ტანდემი გაუძღვება

4

ვითომ სწორად ესმის ინგა გრიგოლიას ტელე-ჟურნალისტის მოვალეობა?

2

5

„ალი და ნინო“ – ფრიდონ თოდუას კლინიკაში

ჩვენი ევროპული არჩევანი არასდროს გადაიხედება

ამის შესახებ ჟურნალისტებს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომელიც ევრაზიის კონტინენტზე მიმდინარე მოვლენების თაობაზე საგარეო საქმეთა ახალი მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის განცხადებას შეეხებოდა.

„ეს არის არჩევანი, რომელიც ჩვენმა დიდმა წინაპრებმა გააკეთეს. ასე რომ, არათუ ჩვენს მთავრობას, არამედ არც ერთ მთავრობას არ შეეძლება ამის გადახედვა. ყოველგვარი სპეკულაციები რომ დავამთავროთ ამასთან დაკავშირებით, ეს პოზიცია არ შეიცვლება არასდროს. რაც შეეხება კვირიკაშვილის განცხადებას, რა თქმა უნდა, ეს არის ჩვენი მთავარი ამოცანა, გამოვიყენოთ ყველა შესაძლებლობა, პოტენციალი, რომელიც არსებობს არა მარტო ჩვენს, არამედ ყველა კონტინენტზე. ერთია ჩვენი პოლიტიკური კურსი და მეორე სავაჭრო-ეკონომიკური პოტენციალის გამოყენება ჩვენი ქვეყნის სასარგებლოდ. ეს არის პრაგმატული პოლიტიკა, რომელსაც ჩვენ აუცილებლად მივიყვანთ ბოლომდე“, – განაცხადა პრემიერმა.

◎ უფროს კოლეგას ასეთი აზრი აქვს!

ვითომ სწორად ესმის ინგა გრიგოლიას ტელეჟურნალისტის მოვალეობა?

დღევანდელ საქართველოში, საერთოდ, ჟურნალისტის ნამდვილი მოვალეობა არასწორადაა გაგებული....

გრიგოლია, რა თქმა უნდა, ამჟამინდელი ქართული ტელეჟურნალისტიკის ტიპური წარმომადგენელია და სრულიადაც არ არის გასაკვირი მისი თოქ-შუები მხოლოდ და მხოლოდ გულუბრყვილო ადამიანებს და თაღლით, ეგრეთ წოდებულ ნაციონალებს რომ მოსწონდეთ.

გრიგოლიას დამატებით რეიტინგომანია შეჰყრია. მისთვის რეიტინგია მთავარი, სხვა ყველაფერი წმინდა მას უნდა შეენიროს. სხვაგვარ დასკვნას ვერ გამოიტან გრიგოლიას თოქ-შოუების მაცქერალი. ჯერ ერთი, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის აზრით, სააკაშვილის რეჟიმი ამოსაძირკვია და ამ რეჟიმის წარმომადგენლებს ეთერი არ უნდა ეთმობოდეთ; მეორეც, სააკაშვილმა და მისმა ბანდამ ბარბაროსულად დაარბია გამოჩენილი მეცენატის ბადრი პატარკაციშვილის ტელევიზია. შემდგომში ავისმქნელმა სააკისტებმა თავიანთი ცილისწამებლური გამონათქვამებით და მიზანდასახული მოქმედებებით საიქიოს გაისტუმრეს თავდადებული მამულიშვილი. ბუნებრივია, ბატონი ბადრის ოჯახს კარგად აქვს გაცნობიერებული სააკისტების წვლილი ამ ოჯახის ტრაგედიაში.

ყველა განცვიფრებული იყო, თუ როგორ ითმენდა ზემოხსენებული ოჯახი გრიგოლიას თოქ-შოუებს, რაც ძირითადად ნაცისტების დასაგმობი საქმეების „გათეთრებას“ ემსახურებოდა.

რასაკვირველია, გრიგოლიას მიზანდასახულად არ სურდა, ნაცისტების პროპაგანდისტი ყოფილიყო, მაგრამ ამ ავადსახსენებელ იარლიყს მაინც ვერ გაექცა. საკისტებთან პირდაპირ დაჯდომას ყველა საღად მოაზროვნე ადამიანი გაურბოდა, „ოცნებაც“, რასაკვირველია, თაკილობდა მათთან რაიმე ურთიერთობის დაჭერას. ამ გარემოებამ გრიგოლიას თოქ-შოუების ბურთი და

მოედანი ნაცებს დაუტოვა. ამრიგად „იმედი“ სააკისტებისთვის „რუსთავი-2“-ზე გაცილებით მეტი მხარდამჭერი აღმოჩნდა.

აი, რა სავალალო შედეგი მოუტანა რეიტინგებს გამოკიდებულმა ფსევდოჟურნალისტმა გრიგოლიამ საკუთარ თავს.

ზოგი ობივატელი ასე სჯის: გრიგოლია არ დაიკარგება, მას „რუსთავი-2“-ის მესვეურნი ფართოდ გაუღებენ კარს. სწორედ ეს იქნება გრიგოლიასთვის კატასტროფულად მომაკვდინებელი დარტყმა. თუმცა, მისი არსიდან გამომდინარე, ამ შემოთავაზებაზე მან შეიძლება თანხმობა განაცხადოს. ამ შემთხვევაში მასზე ზედგამოჭრილი იქნება პოეტის სტრიქონი: „იარე, კაცი (ქალი) შენ აღარ გქვიან“...

ჯერ ერთი პირველი შემთხვევაა, როდესაც თოქ-შოუ დახურეს? რა აჟიოტაჟი ატეხეს? მეორეც, გრიგოლიას დასაცავად მარტო მომხრე ჟურნალისტები გამოჰყავთ, გამოიყვანონ მეცნიერები, საღად მოაზროვნე ადამიანები, თუნდაც რიგითი მოქალაქე, რომელიც პოლიტიკურად ასე ვთქვათ, ნეიტრალურია. რეფერენდუმი ჩავატაროთ, – აცხადებენ ჟურნალისტები. ჯერ ერთი, თუ ყოველი ადამიანის სამუშაოდან გათავისუფლების შემდეგ (რის უფლებაც ტელევიზიის მეპატრონეს უთუოდ აქვს!) მოსახლეობამ რეფერენდუმები გამართა, სხვა საქმე არა აქვს? დავუშვათ, ჩავატარეთ რეფერენდუმი, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა გრიგოლიას თოქ-შოუს დახურვის მომხრე აღმოჩნდება.

გრიგოლიას კი შევახსენებთ ერთ ქართულ ანდაზას: რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავი თაო.

გივი ჯახუა,
მწერალი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი
რუსთავი

◎ უმადური ვეტერანი

შიმშილობაც პოლიტიკური ყოფილა!

ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური მათი თანამშრომლის, ვეტერანი გია ხიზანიშვილის გმირთა მოედანზე მიმდინარე შიმშილობის აქციასთან დაკავშირებით ასეთ განცხადებას ავრცელებს.

„ვეტერანი გია ხიზანიშვილი ერთი წლის წინაც შიმშილობდა. ირაკლი შიხიაშვილმა, დაინიშნა თუ არა ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორად, მოინახულა იგი და თანადგომას დაპირდა. ხიზანიშვილი ორგზის ნასამართლევი იყო და სასჯელი მოხდილი ჰქონდა. მიუხედავად ამისა, ამ შეხვედრიდან 3 დღეში, ხიზანიშვილი ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის თანამშრომლად დაინიშნა. ვინაიდან ირაკლი შიხიაშვილი თვლიდა, რომ ნორმალური ცხოვრების დასაწყებად ყველა ადამიანს ერთი შანსი უნდა მიეცეს. 2 თვის წინ თავად ხიზანიშვილმა „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე დაწერა: „დღეს ვმუშაობ ვეტერანებში, მე მშიერი აღარ ვარ და ტყიდან ცხვირიც გამოვყავი„. თითქმის 1 წელია, ხიზანიშვილი ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურში მუშაობს. ამ ხნის განმავლობაში გია ხიზანიშვილს ჯამში ხელფასის სახით აღებული აქვს 12 023 ლარი, მკურნალობისთვის გადარიცხული აქვს 893 ლარი. 24 აგვისტოს ხიზანიშვილმა თვითნებურად მიატოვა სამსახური და ისევ დაიწყო შიმშილობა. ამ ადამიანის ქმედებები ბადებს ეჭვს, რომ მას ან სერიოზული ფსოქოლოგიური პრობლემები აქვს, ან ის კონკრეტული ადამიანთა ჯგუფისგან იმართება, რომლის მიზანია სამსახურის იმიჯის დისკრედიტაცია. ყოველივე ამის შეფასება საზოგადოებისთვის მიგვინდია“, – აცხადებენ უწყების პრესსამსახურში.

◎ საგანგებო ვითარება

ქართველმა პოლიტიკოსებმა ვერ „ამოიცნეს“, თუ რაზომ აღადგენს რუსეთი რკინიგზას ოჩამჩირე-ენგურის მონაკვეთზე

საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს

ბატონო პრემიერო,

ჩვენ, ბოლნისელები ვადასტურებთ ღრმა პატივისცემას თქვენს მიმართ იმ ღონისძიებების გატარებისთვის, რამაც სოფლად მოსავლიანობის გადიდება და ადამიანების დასაქმება გამოიწვია. ვისურვებდით, რომ ასეთივე წარმატებული ყოფილიყოს თქვენი და თქვენი კაბინეტის წევრთა მცდელობა ქალაქად კონკურენტუნარიანი სამრეწველო პროდუქციის გამოშვების თვალსაზრისით.

მიზეზი, რის გამოც ეს წერილი იწერება სულ სხვაა: როგორც ცნობილია, რუსეთის ფედერაციამ დაიწყო საქართველოს რკინიგზის ოჩამჩირე-ენგურის მონაკვეთის აღდგენა, რამაც ჩვენი საზოგადოების შეშფოთება გამოიწვია, თუმცა პოლიტიკოსებმა მაინც ვერ „ამოიცნეს“ რუსეთის ხელმძღვანელობის განზრახვა. რუსები რკინიგზას მოიყვანენ ენგურამდე, აქვე გადმოისვრიან საჭირო რაოდენობის სამხედრო ნაწილებს და თუ თქვენ საიდუმლო შეთანხმება არა გაქვთ რუსეთის ფედერაციის

ხელმძღვანელობასთან რკინიგზის აღდგენის თაობაზე, საზღვრის დაურღვევლად მოახდენენ ენგურჰესის ძალოვანი კვანძის ოკუპაციას, იქიდან გამორეკავენ ჩვენს თანამშრომლებს და დააყენებენ რუს სპეციალისტებს. ამ მოქმედებას მსოფლიო საზოგადოებას აუხსნიან სრულიად მარტივად: ენგურჰესის ძალოვნური კვანძი განთავსებულია აფხაზეთის ტერიტორიაზე, ენგურჰესს მართვის უფლებით ფლობენ რუსები, რუსეთსა და საქართველოს შორის ელექტროენერგიის გაცვლა ხდება ბარტერული წესით და რადგან ჩვენთან ტარიფი მაღალია, ფასთა სხვაობით ხელს ითბობენ „შავი ძალები“, რაც რუსების გაღიზიანებას იწვევს.

გარდა აღნიშნულისა რაულ ხაჯიმბამ არაერთხელ უსაყვედურა რუსებს იმის გამო რომ, ენგურჰესის შესახებ გარიგება მოხდა აფხაზეთის ხელისუფლების ზურგს უკან, რის გამოსწორებასაც რუსეთი ალბათ მალე შეეცდება.

თუ გავიხსენებთ რუსეთის რეაქციას, როცა მეზობელი ქვეყნები ნატოსკენ მიისწრაფვიან, ლოგიკურია რომ, რუსეთმა ასეთი გზით დასაჯოს საქართველო ნატოს საწვრთნელი ცენტრის გახსნის გამო. ამას რუსეთის მუქარებიც ადასტურებს.

თუ მოვლენები ასე განვითარდა, ძნელი წარმოსადგენი არ არის, როგორი დაპირისპირება მოხდება საქართველოს ხალხსა და პოლიტიკურ სპექტრს შორის.

თქვენი გადასაწყვეტია, ბატონო პრემიერო, როგორ ნაბიჯებს გადადგამთ!

ქართველი ხალხი ყველაფერს კარგად ხედავს და მდგომარეობის დასარეგულირებლად გადადგმულ თქვენს ნაბიჯებს (თუ ასეთი სწორი ნაბიჯები გადაიდგა) სათანადოდ შეაფასებს.

ნუგზარ კობახიძე,
ბოლნისი.

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● „იმედის“ „ქრონიკაში“ ნინო კალანდაძეს რომ ალაპარაკებენ, არ ჯობდა ჯაჯანიძის რომელიმე სტუმარი მოეყვანათ და გრომიკოს სული გამოეძახათ? ვისაც უნდა დავენიძლავები, რომ ის უფრო კომპეტენტურად ილაპარაკებს, ვიდრე საქართველოს ბოლო 10 საგარეო საქმეთა მინისტრი თავის ყველა მოდგილესთან ერთად!

● „კურიერში“ ატეხილმა ფუთფუთმა და გამოჩენილი პოლიტიკოსების (კუბლაშვილი, დავითაია, გოგუაძე, ნათელაშვილი...) კომენტარებმა დამარწმუნა, რომ დღევანდელი საკადრო გადაადგილებები სწორი და დროული იყო.

● ამბასადორიალი უფრო გიყვართ თუ იბიარდი?

● ბიჭო ეს ლიბერალფაშისტები გაუნათლებლების სბროდი რო იყო ვიცოდი მარა, ასეთი უწიგნურები და წერა-კითხვის უცოდინარებიც არ მეგონენ, ევრაზია, სრულიად არ ნიშნავს ევრაზიულ კავშირს ჩემო წერა-კითხვის უცოდინარნო... ევრაზია გახლავთ, დედამიწის ნაწილი, ევროპის და აზიის კონტინენტის ერთობლიობა, განსაკუთრებით აზიის ქვეყნებში ოთხი უმსხვილესი მზარდი ეკონომიკის ქვეყანა არსებობს, რომელთანაც თვითონ ევროპის და ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური და ბიზნესწრეები მჭიდრო

კავშირურთიერთობების დამყარებას ცდილობენ და ახერხებენ.. ესენია, ჩინეთი, იაპონია,სამხრეთ კორეა და ინდოეთი.. აღარაფერს ვამბობ ინდონეზიაზე, ტაივანზე, სინგაპურსა და ვიეტნამზე, რომლებიც ასევე მსხვილი პოლიტიკურ-ეკონომიკური მოთამაშეები არიან აზიის კონტინენტზე... ამდენ უაზრო კრიახს არ ჯობია, წიგნი გაშალოთ და წაიკითხოთ თქვე ჩემი ცოდვით სავსენო?

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

ქართული სოფლის განვითარების ყველაზე ეფექტური გზა

საქართველოში სოფლის მეურნეობა წლების განმავლობაში უყურადღებოდ იყო მიტოვებული, რის შედეგსაც ყველანი თვალნათლივ ვხედავთ:

დაცარიელებული სოფლები, უპატრონოდ მიტოვებული ნასახლარები და ხალხი, რომელიც უცხო ქვეყნებში საარსებო წყაროსთვის არის გადახვეწილი... ბუნებრივია, ამ პირობებში სოფლის მეურნეობა ერთ-ერთ პრიორიტეტულ დარგად უნდა გამოცხადებულიყო და ასეც მოხდა.

რა უშლის ხელს კოოპერატივების შექმნას საქართველოში?

საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის ერთობლივი მუშაობის შედეგად, 2013 წლის 12 ივლისს, საკანონმდებლო ორგანომ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ“ კანონი მიიღო. შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი – „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო“, რომელიც კოოპერატივებისთვის სტატუსის მინიჭებას, შეწყვეტას, მონიტორინგსა და სახელმწიფო პროგრამების განხორციელებას უზრუნველყოფს. სააგენტომ თავდაპირველად საინფორმაციო და საკონსულტაციო სამუშაოები ჩაატარა რეგიონებში, მერე კი, კოოპერატივების შექმნაც დაიწყო. ამ საქმეში ჩვენი ევროპელი პარტნიორებიც ჩაერთნენ, რადგან საქართველოში ფერმერული მეურნეობებისა და კოოპერატივების განვითარება, ევროკავშირის ერთ-ერთი რეკომენდაციაა. ამოქმედდა ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის (ENPARD), რომლის ფარგლებშიც საქართველო 2013-2016 წლებში 40 მილიონ ევროს მიიღებს. მიუხედავად ამისა, ჩვენს საზოგადოებაში საკმაოდ კრიტიკული განწყობა შეინიშნება: ბევრი ფიქრობს, რომ ქართულ სოფელს ყურადღება ისევ აკლია, რომ ჩვენებური გლეხი ისევ ღარიბ-ღატაკია და მხოლოდ კოოპერატივების შექმნით სიტუაცია ვერ გამოსწორდება.

დღეს გვესაუბრა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი მიშელაძე, რომელიც ფიქრობს, რომ ყინული უკვე დაიძრა და ახლა მთავარი გლეხების მონდომება და მიზანსწრაფულობაა.

გიორგი მიშელაძე: „შესაძლოა ზოგიერთები გვაკრიტიკებენ, მაგრამ მათ საყურადღებოდ უნდა ვთქვა, რომ აგრარული სექტორი არ არის ის სექტორი, სადაც პროდუქციას შეიძენ, ერთ-ორ დღეში გაყიდი და სასურველ შედეგს უცბად მიიღებ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქმე გვაქვს დარგთან, სადაც შედეგის მიღწევა ერთ ან ორ თვეში არ ხდება. ნერგს რომ დარგავ, წლობით უნდა ელოდო, რომ ნაყოფი მოგცეს - ასევეა სოფლის მეურნეობაც. შეგახსენებთ, რომ ჩვენმა სააგენტომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის პირველი სტატუსი 2014 წლის მარტში გასცა. შედეგი, რომელიც დღესდღეობით გვაქვს, წელიწადსა და 4 თვეში მივიღეთ და იმედი გვაქვს, რომ კოოპერაციის სისტემის დანერგვა მომავალში აუცილებლად გამოიღებს ნაყოფს. ჩვენ არც გვქონია დაგეგმილი, რომ ერთი წლის განმავლობაში ყველაფერს მივაღწევდით. სხვათა შორის, ჩვენი პრიორიტეტი არც რაოდენობაა: გვირჩევნია ძლიერი კოოპერატივები შეიქმნას და შედარებით მცირე რაოდენობით, ვიდრე ბევრი და სუსტი. მიუხედავად ყველაფრისა, დღეისათვის მიღებულმა შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა:

ჩვენს ქვეყანაში უკვე 1139 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი მოქმედებს.

ამ კოოპერატივებში გაერთიანებულია 7 700-ზე მეტი გლეხკაცი და აღსანიშნავია, რომ არაერთ რეგიონში გლეხები ამ მიმართულებით ძალიან აქტიურობენ“.

გიორგი მიშელაძის თქმით, ყველაზე აქტიური რეგიონი სამცხე-ჯავახეთია, მას მოსდევს ქვემო ქართლი და აჭარა, ამის შემდგომ მოდის სხვა რეგიონები, ყველაზე მისასალმებელი კი ის არის, რომ კოოპერატივები საზღვრისპირა სოფლებშიც იქმნება: „ძალიან კარგი კოოპერატივი გვაქვს შიდა ქართლში, რომელსაც „ნიქოზი“ ჰქვია და კონფლიქტის ზონასთან იმდენად ახლოს მდებარეობს, რომ იქიდან ცხინვალიც კი მოჩანს. სხვა სოფლებშიც გვაქვს კოოპერატივები, მაგრამ სამწუხაროდ, ისინი ჯერ არ არიან ისე ძლიერები. საკმაოდ აქტიურობს წალკის რაიონი, სადაც უკვე მეორე დონის კოოპერატივიც შეიქმნა.

კოოპერირების პროცესს ძალიან უშლის ხელს ჩვენი გლეხობის მენტალობა.

ზოგადად მენტალობა მთელ მსოფლიოში კოოპერაციის დამაბრკოლებელი ერთ-ერთი უმთავრესი პირობაა. ეს არ არის მარტო ქართული ფენომენი. ფერმერს ურჩევნია ცოტა ჰქონდეს და თავისთვის იყოს, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ეს შეხედულება დროთა განმავლობაში აღმოიფხვრება, რასაც ხელს შეუწყობს ფინანსური დახმარება სახელმწიფოს მხრიდან და ის უპირატესობა, რომელიც კოოპერატივს აქვს, – განაცხადა გიორგი მიშელაძემ.

* * *

გადავწყვიტეთ გაგვერკვია, რას ფიქრობენ ფერმერები კოოპერირების სისტემაზე და საქართველოს ფერმერთა ასოციაციის ხელმძღვანელს ნინო ზამბახიძეს დავუკავშირდით. მისი შეფასებით, ეს იყო გამოსაცდელი, საპილოტე პერიოდი და რადგან ჩვენში ინდივიდუალიზმი უფროა განვითარებული, ვიდრე ერთიანობის სურვილი, პროცესი თანდათან, მაგრამ მაინც მიმდინარეობს.

„სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოში გლეხები თავიანთ საქმეს არ მიიჩნევენ ბიზნესად და მუდმივი შემოსავლის წყაროდ. ჩვენ ასოციაციაში ძალიან ბევრი კოოპერატივის წევრი გვყავს, ასევე არიან ინდივიდუალური ფერმერებიც, თუმცა, ისეთი ფერმერებიც არიან, რომლებიც არ აპირებენ კოოპერატივში შესვლას. რაც მთავარია, ფერმერებს უკვე გაცნობიერებული აქვთ, რამხელა ძალა აქვთ მათ ერთად, ამიტომ არ მინდა ამ საკითხზე უიმედო განწყობით გესაუბროთ: რაც უფრო მეტ ადამიანს გაუჩნდება სურვილი, რომ რაღაც შეცვალოს, მეტი შემოსავალი ჰქონდეს და უკეთესად იცხოვროს, ეს უკეთესი იქნება და იქნებ, ჩვენს სოფლის მეურნეობასაც რაიმე ეშველოს. ერთი წელია, რაც ეს პროცესი დაიწყო და შედეგზე ჯერ შეგნებულად არ ვისაუბრებ. რაც მთავარია, ტრენდი არის დადებითი, დანარჩენს კი, უახლოესი წლები გვაჩვენებს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ კოოპერატივების განვითარების პროექტი ევროკავშირთან ერთად მიმდინარეობს“, – ამბობს ნინო ზამბახიძე.

ფერმერთა ასოციაციის ხელმძღვანელის შეფასებით, თუ გვინდა ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობა განვითარდეს, კოოპერაცია არის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი გზა ამ მიზნის მისაღწევად.

„ნებისმიერ ევროპულ ქვეყანაში სოფლის მეურნეობა სწორედ კოოპერაციის ხარჯზე განვითარდა. ბუნებრივია, ამ პროცესს ჩვენი მენტალობაც უშლის ხელს, თანაც, კოოპერატივები კომუნისტურ წყობასთან არის გაიგივებული და ჩვენს გლეხებს ხშირად ინფორმაციის ნაკლებობაც აქვთ. ვფიქრობ, ეს ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული გამოწვევაა: ჩემთვის ფერმერებს ძალიან ბევრ რამეზე უთქვამთ, რომ ეს მათ არ გაუგიათ – იქნება ეს დაზღვევა, იაფი აგროსესხი, თუ სხვა რამ. თუ ადამიანი საფუძვლიანად არ იქნება ინფორმირებული, ის კოოპერატივის წევრი ვერ გახდება. უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ისიც, რომ ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობა, როგორც დარგი, მიტოვებული იყო, ამიტომ მის აყვავებას ერთ წელიწადში არც უნდა ველოდოთ. როდესაც იარსებებს კარგი მაგალითი, მერე ყველაფერი კარგად წავა. როდესაც რაღაც კარგად მუშაობს, მერე ყველა ცდილობს, მისი ანალოგი გააკეთოს: მაგალითად, თუ ვინმე სილამაზის სალონს გახსნის და ის კარგად იმუშავებს, მერე ყველა ხსნის. კარტოფილი ერთ წელს თუ კარგად გაიყიდება, მეორე წელს ყველა კარტოფილს თესავს. ამიტომ თუ ქვეყანაში იარსებებს კოოპერაციის კარგი მოდელი, მაშინ ეს პროცესი ადგილიდან საბოლოოდ დაიძვრება. ამიტომ, **ძალიან კარგ მაგალითად მიმაჩნია კოოპერატივი, რომელიც ახლახან დარჩელში გაიხსნა: როდესაც 500 ადამიანი ერთიანდება, ეს იმას ნიშნავს, რომ კოოპერაცია კარგია და ადამიანებს ერთად მუშაობის სურვილი გაუჩნდათ.** მით უმეტეს, წარმატებული კოოპერირების სხვა მაგალითებიც ვიცი. ჩემი აზრით, ამ ეტაპზე მთავარი რაოდენობა არ არის, მთავარი კარგი დასაწყისია, მერე კი, ყველაფერი თავისთავად დალაგდება და მოგვარდება“.

> თუ გვინდა ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობა განვითარდეს, კოოპერაცია არის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი გზა ამ მიზნის მისაღწევად.

ხათუნა ჩიგოგიძე

◎ დედაქალაქი

დავით ნარმანიამ თბილისის ვიცე-მერის პოსტზე ლაშა აბაშიძე წარადგინა

ლაშა აბაშიძე ვაკის გამგებლად 2015 წლის 12 მარტიდან მუშაობდა. მანამდე კი, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი იყო. თბილისის ვიცე-მერის პოსტი ვაკანტური პირველი სექტემბრის შემდეგ არის, რაც პრემიერ-მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილი ეკონომიკის მინისტრის პოსტზე დანიშნა.

ლაშა აბაშიძის კანდიდატურაზე თბილისის საკრებულო უახლოეს სხდომაზე იმსჯელებს.

თბილისის ზღვის ირგვლივ ახალი ინფრასტრუქტურა მოეწყობა

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, ეკონომიკის ახალ მინისტრთან და თბილისის მერთან ერთად, აკვა პარკ „ჯინო ფერედაისს“ სტუმრობდა.

„ჯინო ფერედაისის“ დამფუძნებელმა ნოდარ გიორგაძემ პრემიერ-მინისტრს ტერიტორია დაათვალიერებინა და ახალი პროექტი – „ეკო გრინ სითი“ წარუდგინა. პროექტი თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე, 200-250 ჰექტარ მიწის ფართობზე ეკოლოგიური სამშენებლო მასალების ინფრასტრუქტურული ობიექტების, საცხოვრებელი ვილების, კოტეჯებისა და ბინების მშენებლობას ითვალისწინებს.

„ჯინო ფერედაისი“ არის ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური პროექტი, რომელიც არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ამიერკავკასიაში განხორციელებულა. აქ 28 მილიონი დოლარის ინვესტიცია ჩაიდო, რაც ქართველმა მამულიშვილმა ნოდარ გიორგაძემ განახორციელა. გარდა იმისა, რომ დავათვალიერეთ თავად აკვა პარკის ტერიტორია, განვიხილეთ სხვა პროექტები, რომელიც ეხება თბილისის ზღვის გარშემო ტერიტორიის განაშენიანება-განვითარებას. პირველ ეტაპზე 100 მილიონი დოლარის ინვესტიციაზეა საუბარი, თუმცა სამუშაოები რამდენიმე ფაზად არის დაყოფილი და ჯამში შესაძლოა, მილიარდი დოლარის ინვესტიციაც მოხდეს. პროექტის ფარგლებში ეკოლოგიურად სუფთა, ახალი ქალაქის მშენებლობა მოხდება თბილისის მიმდებარე ტერიტორიაზე, რაც ძალიან მნიშვნელოვანია“, – განუცხადა პროექტის პრეზენტაციის შემდეგ პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა.

„ეკო გრინ სითის პროექტის“ ფარგლებში აშენდება საბავშვო ბაღები, სკოლები, სპორტულ-გამაჯანსაღებელი, სამედიცინო-სამკურნალო, კურორტოლოგიური, სარეაბილიტაციო ობიექტები, პარკები, სპორტული მოედნები, სავაჭრო უბნები და სხვა სახის ობიექტები. ენერგიის 90% გამომუშავებული იქნება მზის, ქარის, წყლისა და ბიოგაზის მეშვეობით, გამოყენებული იქნება ულტრათანამედროვე ენერგეტიკული დანადგარები, მზის კოლექტორები, ინვენტორები, კოოგენერაციული და ტრიგენერაციული დანადგარები.

ვაკე-საბურთალოს დამაკავშირებელი ახალი გზა ნაწილობრივ გაიხსნება

„კონტრაქტორ კომპანიასთან შეთანხმებული გეგმის მიხედვით, 15 სექტემბრისთვის გაიხსნება თამარაშვილიდან გამომავალი გზა, რომელიც პოლიციის შენობის გავლით ერთი მხრივ ვაკეს, მეორე მხრივ კი, საბურთალოს დაუკავშირდება, ამ დროისთვის ასევე გაიხსნება გმირთა მოედნისა და თამარაშვილის დამაკავშირებელი გზის ერთი მხარე, რომელზეც ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს“, – განაცხადა ნარმანიამ. რაც შეეხება აღნიშნული გზის მეორე მხარეს, მის აღდგენას თვის ბოლოსთვის ვარაუდობენ.

ინტერპრესი

„დასავლეთის მიმართულებას ხიდაშელ-კვირიკაშვილის ტანდემი გაუძღვება“

„ამ საკადრო გადანაცვლებას ლარის კურსით გამოწვეულ მოვლენებს უკავშირებენ, მაგრამ ვფიქრობ, მას უფრო სხვა კონტექსტი და მიზეზები აქვს - ბერუჩაშვილის შეცვლა განაპირობა იმან, რომ საგარეო პოლიტიკაში სტრატეგიული ხედვის ნაკლებობა შეიმჩნეოდა, შემცირებული იყო აქტივობა; განსაკუთრებით, პრეტენზიები ისმოდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის კონტექსტში, როცა საოკუპაციო ხაზის გადმოწევა ხდებოდა თითქმის ყოველდღიურ რეჟიმში“, — ასე აფასებს ექსპერტი ხათუნა ლაგაზიძე ეკონომიკის ყოფილი მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშვნას; ექსპერტი იმ ახალ შანსებსა და გამოწვევებზე გვესაუბრება, რაც საგარეო საქმეთა ახალ მინისტრთან ერთად საქართველოსაც უჩნდება.

— როგორც ჩანს, მოთხოვნა ამ ცვლილებისა, განაპირობა იმანაც, რომ თანამედროვე მსოფლიოში გარდა გამოწვევებისა, ძალზე საინტერესო ახალი ტენდენციები გამოჩნდა, რომელიც საქართველოს ტიპის ქვეყნებისთვისაც საკმაოდ მნიშვნელოვანი შანსია. საუბარი მაქვს იმაზე, რაზეც ახალ თანამდებობაზე წარდგენისას კვირიკაშვილმა თავისი გამოსვლის დროს გაამახვილა ყურადღება..

— ალბათ, უნდა აღინიშნოს, რომ კვირიკაშვილი ეკონომიკის მინისტრობის დროსაც მუშაობდა აღმოსავლეთის მიმართულებით...

— აღმასრულებელი ხელისუფლების საყოველთაო საინფორმაციო ჩაკეტილობის პირობებში კვირიკაშვილის უწყება ბოლო პერიოდში შედარებით გაიხსნა კომუნიკაციისთვის და მომეცა საშუალება, მასთან ამ თემებზე მესაუბრა. ამიტომ ყურმოკრულ ინფორმაციაზე დაყრდნობით არ ვმსჯელობ. ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო უსაფრთხოების კუთხით ახალი პერსპექტივები, რომელსაც სწორედ ეს ახალი ეკონომიკური კავშირები მისცემს საქართველოს.

საუბარია იმაზე, რომ დასავლეთის (რომელიც რჩება საქართველოს შეუცვლელ ორიენტირად და პარტნიორად) მთელი ყურადღება გადასულია აღმოსავლეთისკენ. ჩინეთზე აღარ გავამახვილებ ყურადღებას - საკმაოდ მნიშვნელოვანია ის ინიციატივები, რომელშიც საქართველო ჩაერთო კვირიკაშვილის მინისტრობის პერიოდში — ესაა ჩინეთის საინვესტიციო ბანკთან თანამშრომლობა; ახალი აბრეშუმის გზის პროექტში ჩართვა...

საქართველოსთვის არანაკლებ მნიშვნელოვანი მიმართულებაა ირანი, რომლისკენაც მიპყრობილია მთელი მსოფლიოს ყურადღება, გამომდინარე იქიდან, რომ მას მოეხსნა სანქციები.

ირანული ნავთობპროდუქტები და სატრანსპორტო ნაკადები ძალზე საინტერესო შეიძლება იყოს ნებისმიერი ქვეყნისთვის და რატომაც არ უნდა დაინტერესდეს საქართველო, რომელიც სწორედ ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირების ერთ-ერთ ალტერნატიულ მარშრუტად განიხილება? ამ მიმართულებითაც ჰქონდა ეკონომიკის სამინისტროს ძალზე საინტერესო აქტივობები და რომ ატეხეს ხმაური კვირიკაშვილის მიერ არასწორად ნათქვამ სიტყვაზე (ევრაზიის კონტინენტზე) — აქ რეალურად ლაპარაკია იმაზე, რომ საქართველოს აქვს შანსი, გახდეს ევროპისა და აზიის ანუ დასავლეთისა და აღმოსავლეთის ძალზე მნიშვნელოვანი, ფინანსური, სატრანსპორტო, ენერგეტიკული ნაკადების გამტარი და მააკუმულირებელი.

რაც უფრო მეტი დიდი ქვეყნის ინტერესი ჩაიდება საქართველოში, ეს ნიშნავს ამ ქვეყნების დაინტერესებას საქართველოს სტაბილურობით — ეს ხომ ცალსახაა — შესაბამისად, რაც უფრო მეტი დიდი ქვეყანა იქნება დაინტერესებული საქართველოს სტაბილურობით, მით უფრო მყარი იქნება საქართველოს უსაფრთხოება. ეს არის ფორმულა, რომლის გატარებასაც ვფიქრობ, საგარეო საქმეთა სამინისტროს ახალი ხელმძღვანელობა შეეცდება.

— ასეთი შანსი საქართველოს ყოველთვის ჰქონდა, — აბრეშუმის გზაზე, საერთაშორისო პროექტებზე შევარდნაძის დროს დაიწყო ლაპარაკი; ორი პროექტიც განხორციელდა, მაგრამ საქართველოსთვის არსებითად არაფერი შეცვლილა. დამატებით შანსს რა გვაძლევს, ასოცირების ხელშეკრულება ხომ არა?

— ვიტყოდი, რომ სამ ძირითად ფაქტორს ენიჭება მნიშვნელობა, ეს არის ჩინეთის გააქტიურება და დაინტერესება ჩვენი რეგიონით; მეორეა — ირანთან დაკავშირებული ახალი რეალობები, და მესამე — ასოცირების ხელშეკრულება.

სულ არის საუბარი იმაზე, რომ აი, რა მისცა დასავლეთმა საქართველოს. მხოლოდ ასოცირების ხელშეკრულებით საქართველომ მიიღო უზარმაზარი შანსი, ჩვენს ქვეყანაში მოხდეს დიდი ფინანსური ნაკადების აკუმულირება.

საქართველოს აქვს უპირატესობა, ევროკავშირის 500-მილიონიან ბაზარზე გაიტანოს ქართული პროდუქცია საბაჟო გადასახადის გარეშე. ეს ზრდის საქართველოს მომხიბვლელობას აღმოსავლეთის გიგანტების თვალში.

გასაგებია, ბევრი სამუშაოა საგარეო ეკონომიკური მიმართულებით, რომ ევროპული მოთხოვნების შესაბამისად მოხდეს საქართველოში ინვესტიციების ჩადება — არ ვგულისხმობ საქართველოს სატრანზიტო ფუნქციას — საუბარი მაქვს, იმაზე, რომ საქართველოში შეიძლება მოხდეს დიდი ინვესტიციებით ქართული პროდუქციის წარმოება და მისი გატანა საბაჟო გადასახადის გარეშე ევროკავშირის ბაზარზე. რაც ძალიან მომგებიანია აღმოსავლელი ინვესტორებისთვის, რადგან მათ საკუთარ ქვეყნებში ეს პრივილეგიები არა აქვთ.

ბუნებრივია, არსებობს კიდევ სხვა უამრავი ფაქტორიც, მაგრამ ეს არის ის ძირითადი მოცემულობები, რაც საქართველოს ახალ რეალობას უქმნის და ახალ შანსებს აძლევს რეგიონში — ვიტყოდი — საქართველო-აზერბაიჯანის ტანდემს...

— სოციალურ ქსელებში უკვე გაჩნდა რეპლიკები, რომ კვირიკაშვილის საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშვნით დასუსტდა დასავლეთის ფლანგი. არსებობს ამ ეჭვების საფუძველი? გარდა ამისა, უნდა ველოდეთ თუ არა გერმანიის მიმართულებით მუშაობის გააქტიურებას, რასაც ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრს ხშირად საყვედურობდნენ?

— ბოლო პერიოდში მრჩება შთაბეჭდილება, რომ დასავლეთის მიმართულებით ამ ხელისუფლების საკვანძო ფიგურა არის თინა ხიდაშელი. მისი ფუნქცია გარკვეულწილად, ცდება თავდაცვის მინისტრის ჩარჩოებს. დღევანდელ პოლიტიკურ სივრცეში თუ ვინმემ იცის დასავლეთთან სალაპარაკო ენა, ეს არის სწორედ უსუფაშვილ-ხიდაშელის წყვილი; ხიდაშელის ბოლო ვიზიტებიდან, ინტერვიუებიდან და იმ გამოხმაურებებიდან გამომდინარე, რაც მის ვიზიტებს მოჰყვა, ვფიქრობ, რომ ის არის საკვანძო ფიგურა სწორედ დასავლთთან ურთიერეთობაში; რასაც მე პირადად, მივესალმები.

კვირიკაშვილის დანიშვნით ვფიქრობ, გაძლიერდება არა რუსული, არამედ „აღმოსავლური“ ფლანგი და ზოგადად, დივერსიფიკაცია მოხდება საგარეო პოლიტიკის, რაც ასევე აუცილებელია დღევანდელი რელობიდან გამომდინარე. მესახება, რომ დასავლეთის მიმართულებას წაიყვანს ხიდაშელ-კვირიკაშვილის ტანდემი. რამდენადაც ვიცი, კვირიკაშვილს აქვს დასავლეთთან ურთიერთობის გამოცდილებაც ეკონომიკის მინისტრობის პოსტზე ყოფნისას. ასე რომ, ამ ეტაპზე, ამ თვალსაზრისით საფრთხეებს ვერ ვხედავ.

რაც შეეხება ზოგადად დაასავლეთს, მისთვის საქართველო სასურველი მაგრამ პრობლემური პარტნიორი იყო ყოველთვის, გამომდინარე, ჩვენი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან და რუსეთის ფაქტორიდან. თუ საქართველო მონახავს ისეთ ბერკეტებს რაც მის უსაფრთხოებას გაზრდის, დასავლეთისთვის მხოლოდ და მხოლოდ მისასალმებელი იქნება — რაც უფრო ნაკლები რისკის მატარებელი იქნება საქართველო როგორც პარტნიორი, მით უფრო სასურველი გახდება.

— თუ კვირიკაშვილის გეგმები განხორციელდა, რუსეთის როლს როგორ ხედავთ?

— ამ საგარეო-ეკონომიკური პარტნიორების დივერსიფიკაციის ფონზე შემდგომში რუსეთი ჩაითვლება ერთ-ერთ პარტნიორად; პირობითად რომ ვთქვათ — თუკი აღმოსავლეთი და დასავლეთი შეთანხმდებიან, რომ საქართველო უნდა იყოს სტაბილური, ასეთ შემთხვევაში რუსეთს გაცილებით მეტი მოწინააღმდეგე ეყოლება საქართველოს დესტაბილიზაციის გზაზე, ვიდრე ჰყავს დღემდე.

ანუ, თუ საქართველოს დესტაბილიზაცია არა მხოლოდ დასავლეთის, არამედ იგივე, ირანის და ჩინეთის ინტერესების შელახვაც იქნება, რუსეთი უფრო მეტად დაფიქრდება იქამდე, ვიდრე საქართველოს წინააღმდეგ ხისტი ნაბიჯების გადადგმას გადაწყვეტს.

საქართველოს სტაბილურობა უფრო მეტი და ძლიერი ქვეყნების ინტერესებში უნდა იყოს — ეს იქნება ჩვენი სტაბილურობის გარანტია — არ დაგვავიწყდეს — რუსეთი იძულებულია, დასავლეთისგან განსხვავებით, ჩინეთი და ირანი ამ ეტაპზე პარტნიორებად განიხილოს — უფრო მძიმე იქნება მისთვის წინ აღუდგეს საკუთარი პარტნიორების ნებას.

ესაუბრა

ლალი ზირაქიშვილი

◎ ალიან-ჩალიანი

აბაშიძე-კარასინის ფორმატი აუცილებელია

საგარეო საქმეთა მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, აბაშიძე-კარასინის ფორმატი აუცილებელია იმ ეკონომიკური საკითხების მოგვარებისთვის, რომელიც ყოველდღიურ რეჟიმში არსებობს.

„თქვენ ალბათ ნახეთ, სპეკულაციის საგანი გახდა სატვირთო მანქანების რიგები, რომელიც ლარსის საბაჟოს მიმართულებით არის. პრეტენზიები გამოითქვა, რომ ყურადღება არ ექცევა. პირადად გახდით არა ერთხელ ამ მიმართულებაზე, უწყებათაშორისო ჯგუფიც კი გვაქვს შექმნილი, რათა მალფუჭებადი პროდუქტები და მანქანები, რომლებსაც ქალები და ბავშვები გადაჰყავთ, ცალკე რიგის სახით იქნეს გაშვებული. თუმცა სამწუხაროდ, მეორე მხარეს საბაჟოზე გაცილებით უფრო ნელია პროცედურები, მაშინ როდესაც ჩვენი მხარე ერთი სატვირთო მანქანის გაშვებას მაქსიმუმ ერთნახევარ-ორ წუთს ანდომებს, მეორე მხარეს ეს პერიოდი არის გაცილებით უფრო მაღალი. ამით არის გამოწვეული ეს რიგები და ალბათ, ასეთი საკითხების განსახილველად არის სწორედ ეს ფორმატი, სადაც ხშირად ტექნიკურ დონეზე ხდება ასეთი ტიპის საკითხების განხილვა“, — განაცხადა კვირიკაშვილმა. მისივე თქმით, ამ ფორმატს აუცილებლად გამოიყენებენ, თუნდაც კონკრეტულად ამ საკითხის განსახილველად.

რაც შეეხება რუსეთთან ურთიერთობების საკითხებს, კვირიკაშვილის განცხადებით, მიუხედავად პრობლემებისა, კვლავ ვაგრძელებთ პრაგმატულ პოლიტიკას რუსეთთან. უსაფრთხოებისა და პოლიტიკის თემებზე მოლაპარაკებები, ბუნებრივია, ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფორმატში გაგრძელდება, ხოლო ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ მიმართულებებზე სპეციალური წარმომადგენლები იმუშავებენ. მისივე თქმით, დიდი ყურადღება დაეთმობა ურთიერთობების შემდგომ გაღრმავებას რეგიონის ქვეყნებთან.

სწავლა სიბერემდეო, მაგრამ ელემენტარული საკითხები ბავშვობაში უნდა ისწავლო!

პრემიერის სპეციალური წარმომადგენლის რუსეთთან ურთიერთობების საკითხებში ზურაბ აბაშიძის განცხადებით, თუ ვინმემ ვერ გაიგო საგარეო საქმეთა ახალი მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის განცხადება ევრაზიულ კონტინენტთან დაკავშირებით, ურჩევს მესამე კლასის გეოგრაფიის სახელმძღვანელო იყიდოს.

ამის შესახებ ზურაბ აბაშიძემ ჟურნალისტებს გუშინ სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ ამბასადორიალის დაწყებამდე განუცხადა, როდესაც გიორგი კვირიკაშვილის კომენტარს გამოეხმაურა ევრაზიულ კონტინენტთან დაკავშირებით.

კითხვაზე, რას ნიშნავდა ევრაზიული კონტინენტი და ხომ არ იყო საუბარი ევრაზიულ კავშირზე, ზურაბ აბაშიძემ განაცხადა, რომ ეს სულ სხვადასხვა რაღაც არის. „ევრაზიულ კონტინენტს რაც შეეხება, თუ ჩვენმა რომელიმე ოპონენტმა ვერ გაიგო, რას გულისხმობდა გიორგი კვირიკაშვილი, აუცილებლად უნდა იყიდოს მესამე კლასის გეოგრაფიის სახელმძღვანელო. იქ ძალიან კარგად არის დახატული, რას წარმოადგენს ევრაზიული კონტინენტი. ისე, წინდაწინ გავამხელ საიდუმლოს, ევრაზიული კონტინენტი შედგება ევროპისგან და აზიისგან“, — განაცხადა აბაშიძემ.

კითხვაზე, გამორიცხავს თუ არა ევრაზიულ კავშირს, მან აღნიშნა, რომ ეს სულ სხვადასხვა რაღაცეებია. მისი განმარტებით, ევრაზიული კონტინენტი არის ერთი რამ, ევრაზიულ კონტინენტზე არის უამრავი საერთაშორისო, რეგიონალური თუ სხვა სახის ორგანიზაცია. რაც შეეხება ახალ საგარეო საქმეთა მინისტრს, აბაშიძე დარწმუნებულია, რომ გიორგი კვირიკაშვილი ძალიან კარგად წარუძღვება თავის ახალ საქმიანობას, ხოლო რაც შეეხება ყოფილ მინისტრს, როგორც აბაშიძემ აღნიშნა, ბერუჩაშვილმა ძალიან კარგად იმუშავა, მას აქვს დიდი გამოცდილება და ამ გამოცდილებას მომავალშიც გამოიყენებს.

ინტერპრესი

◎ ხელოვნება და მედიცინა

„ალი და ნინო“ – ფრიდონ თოდუას კლინიკაში

თვით უკვდავება მშვენიერსა
სულში მდგომარეს
ნიკოლოზ ბარათაშვილი.

ბასული საუკუნის რომანს – „ალი და ნინო“ სკულპტორმა რუსუდან კვესიტაძემ ორიგინალურად შთაბერა სული და თანამედროვეობის შთამბეჭდავ ქმნილებად აქცია. ბათუმში დამონტაჟებული ქანდაკებები, რომელიც სიყვარულის სიმბოლოდ აღიქმება, ქალაქის სახედ იქცა.

თუმცა ,,ალი და ნინოს“ შედარებით მინიატიურული ქანდაკება, რომელიც ასევე ქალბატონი რუსუდანის ხელითაა შექმნილი, კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის (თოდუას კლინიკის) ფოიესაც ამშვენებს. ამ რამდენიმე დღის წინათ, როცა ბათუმში ნინოს ქანდაკება შემთხვევით დაემსხვრათ გადატანისას და რასაც საზოგადოების ვნებათაღელვა მოჰყვა, უეცრად გამახსენდა, რომ თბილისში, თოდუას კლინიკაში, ნინოს ასლი მოკრძალებულად განაგრძობდა სიცოცხლეს.

ვინც ერთხელ მაინც ყოფილა ამ სამედიცინო ცენტრში, ემახსოვრება კიდეც, რომ აქაც დიდი ხანია არსებობს ,,ალი და ნინო“. როიალზე მოთავსებული ქანდაკება მელოდიურად მოძრაობს, თითქოს ინსტრუმენტზე აჟღერებულ მუსიკის ჰანგებს ემორჩილებაო და თავისებურ ჰარმონიას ქმნის.

...მოპირდაპირედ კედლის საათები სხვადასხვა დროს უჩვენებენ: თბილისის, ლონდონის, ნიუ-იორკის, ტოკიოს..... თითქოს საათი ჰყოფს დედამიწას, მაგრამ რაღაც სხვა-აერთიანებს. ეს ხელოვნებაა, ესთეტიკა, მშვენიერების განცდა!!! კლინიკური მედიცინის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში ამის ნაკლებობა ნამდვილად არ იგრძნობა. მედიცინის და ხელოვნების – ამ ურთიერთსაპირისპირო დარგების ჰარმონიული შერწყმა ყველაზე კარგად, ალბათ, ამ კლინიკაში აისახება.

ფოიეში ხელოვნური ჩანჩქერი იპყრობს ყურადღებას და ისე აღვიქვამთ, როგორც კანონზომიერებას..... (თითქოს ასეც უნდა იყოს). კედლებს კი უამრავი მხატვრული ტილო ამშვენებს. თოიძე, ლოლაშვილი, კვესიტაძე, ადამია, ხერკელაძე, ნიჟარაძე, მათიაშვილი, ცეცხლაძე... ქართველ მხატვართა ლამის მთელი პლეადის ნამუშევრებია გამოფენილი. ხელოვნების მიმართ აქ მიღებული შთაბეჭდილება არაფრით ჩამოუვარდება ნებისმიერ შესანიშნავ გალერეასა თუ საგამოფენო სივრცეში შექმნილ განცდებს.

ეს მხოლოდ ხელოვნების სიყვარული როდია, ეს, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი თანამემამულე შემოქმედთა დაფასებაა... უნდა ითქვას, რომ ბატონი ფრიდონი ამ მხრივ მართლაც განსაკუთრებული პიროვნებაა. სწორედ ეს არის ხელშეწყობა, რათა წარმოაჩინო შენი ქვეყნის ღირსება და კულტურა. ამ დერეფნებში უამრავი ადამიანი იყრის თავს - ადგილობრივი თუ უცხოელი, პაციენტი, უბრალოდ სტუმარი თუ საქმიანი პარტნიორი, სხვადასხვა თაობის წარმომადგენელი, სხვადასხვა გემოვნებისა და შეხედულებების მქონე ადამიანი. ყოველი მათგანი ხელოვნების სამყაროში ხვდება და მშვენიერების გავლენის ქვეშ ექცევა. ამ სამედიცინო დაწესებულებაში წამლის ნაცვლად ხელოვნების სურნელი ტრიალებს... შთაბეჭდილება მართლაც რომ წარუშლელი რჩება ყველას, ვინც აქ ერთხელ მაინც მოხვდება...

თოდუას კლინიკის ფოიეში, მუსიკის ჰანგების ქვეშ კვლავინდებურად იწონებენ თავს ნინო და ალი. ისინი დინამიური მოძრაობით ყვებიან სიყვარულისა და ერთგულების ისტორიას და თითქოს მშვენიერების საიდუმლოს ხსნიან... ამასთან ერთად სიმბოლურად აერთიანებენ ორ სრულიად განსხვავებულ დარგს – მედიცინას და ხელოვნებას!

თეა მოსია

◎ მაგისტრალის ბედი

აქაც ფულია მთავარი!

ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის მშენებლობის დასრულება ისევ კითხვის ნიშნის ქვეშაა. თურქულ მედიაში ვრცელდება ინფორმაცია, რომ თურქეთის ტერიტორიაზე ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის მშენებლობა შეჩერდა, რის მიზეზადაც სახელდება ის გარემოება, რომ კონტრაქტორი კომპანიები უარს აცხადებენ დაგეგმილი სამუშაოების შესრულებაზე.

არაერთგზის შეჩერებული და გადავადებული პროექტის დასრულება ვერაფრით ხერხდება. აზერბაიჯანულ მედიაშიც კი გაჩნდა ცნობები, რომ თურქეთში არსებულმა პოლიტიკურმა არასტაბილურობამ აღნიშნული პროექტის გაშვება, შესაძლოა, ჩაშალოს. ჯერჯერობით სამი ქვეყნის ოფიციალური პირები კომენტარს არ აკეთებენ, მაგრამ უკვე აშკარაა, რომ სარკინიგზო პროექტს მორიგი პრობლემები აქვს.

თურქული მედიასაშუალებების ინფორმაციაზე კომენტარისას აზერბაიჯანის სახელმწიფო რკინიგზის პრესსამსახურის ხელმძღვანელმა ნადირ ახმამედოვმა განაცხადა, რომ თურქულ მხარეს ბაქო არ გაუფრთხილებია პროექტის საკუთარ მონაკვეთზე პრობლემების არსებობის შესახებ. ანკარამ მიიღო სახელმწიფო ვალდებულება, თურქეთის ტერიტორიაზე სამშენებლო სამუშაოები წლის ბოლოსთვის დაასრულოს.

სააგენტო „ტრენდთან“ საუბრისას თურქეთის ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ინფორმაცია ბაქო-თბილისი-ყარსის პროექტის შეჩერების შესახებ სინამდვილეს არ შეესაბამება.

თურქული მედიის ინფორმაციით, დღეისათვის რკინიგზის თურქული მონაკვეთის მშენებლობაში 204 მილიონი მანათია ჩადებული და დაგეგმილი სამუშაოების მხოლოდ 39%-ია შესრულებული. ამ ქვეყნის ტრანსპორტის სამინისტროს გათვლებით, თურქეთის მონაკვეთზე სამუშაოების დასასრულებლად კიდევ 200 მილიონი მანათია საჭირო, რაც 600 მილიონ მანათამდე ზრდის აღნიშნული მონაკვეთის მშენებლობის ღირებულებას. ეს კი დაგეგმილ ხარჯებს სამჯერ აღემატება.

„კომერსანტის“ ინფორმაციით, ამჟამად თურქეთის მონაკვეთზე, რომლის სიგრძეც 76 კილომეტრს შეადგენს, მშენებლობა შეჩერებულია.

ბაქო-თბილისი-ყარსის პროექტი არის ახალი სატრანსპორტო დერეფანი, რომელიც გააერთიანებს აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის სარკინიზო ხაზებს. რკინიგზის ექსპლოატაციაში შეყვანა 2015 წელს იგეგმება. ამ პროექტის განხორციელების შედეგად, თურქეთის გავლით, გაიხსნება სარკინიგზო დერეფანი კასპიის ზღვიდან ევროპისკენ, რომელიც საბოლოოდ გამორიცხავს საზღვაო გზით გადაზიდვის საჭიროებას მას შემდეგ, რაც სტამბულში, ბოსფორის სრუტეში გამავალი რკინიგზის გვირაბის მშენებლობა დასრულდება.

კონტრაქტორები უარს აცხადებენ ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის მშენებლობაზე?

ბაქო-თბილისი-ყარსის პროექტით ასევე შესაძლებელი იქნება დერეფნის გახსნა, რომელიც რუსეთს თურქეთთან დააკავშირებს. ამ ხაზით მოხდება როგორც სატვირთო, ისე სამგზავრო გადაყვანა და ის მოიაზრება როგორც ალტერნატიული სატვირთო ტრანსპორტირების გზა ირანიდან მომავალი არსებული სატრანზიტო გზების ნაცვლად.

სულ რამდენიმე თვის წინათ ილჰამ ალიევმა აზიის განვითარების ბანკის ხელმძღვანელთა საბჭოს ყოველწლიურ სხდომაზე ბაქო-ყარსის პროექტს დიდი მომავალი უწინასწარმეტყველა. **„აზერბაიჯანი აშენებს კასპიის უმსხვილეს პორტს, რომელსაც 25 მილიონი ტონა ტვირთის მიღება შეუძლია. ბაქო-თბილისი-ყარსის ხაზი სარკინიგზო „აბრეშუმის გზა“ გახდება“,** – აღნიშნა ალიევმა.

მას კვერი დაუკრა აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ელმარ მამედიაროვმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა ეკონომიკური განვითარების მაღალ კოეფიციენტს შექმნის.

„ეს არის გეოსტრატეგიული მასშტაბის პროექტი, რომლის საშუალებით აზია და ევროპა უერთდება ერთმანეთს. ჩვენ გვჯერა, რომ ეს პროექტი დააინტერესებს შუა აზიის ქვეყნებს, ავღანეთს. ვფიქრობ, ამ პროექტმა უნდა მოიტანოს სტაბილურობა და სიმშვიდე“, – განაცხადა ელმარ მამედიაროვმა. პროექტის წარმატებით დასრულებაში ეჭვი არ ეპარებოდა საქართველოს მთავრობასაც. ეკონომიკის მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი რკინიგზის სრულფასოვნად ამოქმედებას წლის ბოლოს ელოდა.

– ფაქტობრივად, ყველა წინაპირობა არსებობს, რომ წლის ბოლომდე ბაქო-თბილისი-ყარსის პროექტი ექსპლოატაციაში შევიდეს. ეს ნამდვილად სტრატეგიული მნიშვნელობის პროექტია, მუშაობა კარგი ტემპით მიმდინარეობს. მინდა ვთქვა, რომ კონტრაქტორმა კომპანიამ ძალიან წარმატებით იმუშავა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ პროექტი ვადებში დასრულდება, – განაცხადა კვირიკაშვილმა.

როგორც ჩანს, **მეზობელი ქვეყნის მინისტრების სურვილი და შემართება პროექტის დასასრულებლად საკმარისი არ არის – დაძაბულმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა მდგომარეობამ ბაქო-თბილისი-ყარსის პროექტს ახალი პრობლემა შეუქმნა.**

ბეჭა დანელია

◎ მერხეგიდან პირდაპირ პარლამენტში?!

ჭკუა თავშია და არა სკამში!

„ძართულმა ოცნებამ“ ინტელექტკლუბის წევრებთან კონსულტაციები გამართა და გადაწყდა, რომ ინტელექტუალები პარტიულ საქმიანობაში ჩაერთვებიან. როგორც ირკვევა, თანამშრომლობა უფრო გაღრმავდება, რადგან საამისოდ ორმხრივი თანხმობა არსებობს.

რაც შეეხება ლიდერს, „ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივნის ირაკლი კობახიძის განცხადებით, პარტიის იერარქია კარგად არის ცნობილი — ლიდერი ირაკლი ღარიბაშვილია და ამ გუნდით მნიშვნელოვანი წარმატების მიღწევა შეიძლება. პარტიის ძირითად ბირთვში კი დარჩებიან ის ლიდერებიც, რომლებიც „ქართულ ოცნებას“ 2011 წლიდან მოჰყვებიან.

„რა? სად? როდის?“ წევრების მიმართ არც ნაცმოძრაობა იყო გულგრილი. თავის დროზე ნიკა გვარამია სწორედ ამ კლუბის წევრი იყო. ინტელექტკლუბის წევრების გარდა, ნაციონალებში დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ ოკეანის გაღმა განათლებამიღებულები. თუმცა როგორც შედეგმა აჩვენა, მაინცდამაინც დიდი სარგებელი უცხოეთში განათლებამიღებულებს ქვეყნისთვის არ მოუტანიათ.

ინტელექტკლუბთან თანამშრომლობაზე არც ახალ ხელისუფლებას უთქვამს უარი. „ოცნებამ“ ფსონი გედევან ფოფხაძეზე დადო, რომელმაც, ასევე, ამ ინტელექტკლუბიდან დაამახსოვრა თავი საზოგადოებას. ამჟამად კი საკადრო სიმწირის პირობებში მყოფი „ოცნება“ „საზოგადოება 20/30“-ის წევრებზე ამყარებს იმედს. თუმცა, ექსპერტები დავობენ იმაზე, „ოცნების“ წიაღში რა პირობებია შექმნილი იმისთვის, რომ ინტელექტუალები მმართველმა გუნდმა შეინარჩუნოს?!

ზოგადად, საინტერესოა ისიც, რატომ ხდება ყოველი არჩევნებისთვის ინტელექტკლუბის წევრთა მიზიდვა და რატომ არის ქართული პოლიტიკური ელიტა საკადრო ჩიხში მოქცეული?

ექსპერტ არჩილ გამზარდიას „რა? სად? როდის?“ ინტელექტუალებით გუნდის დაკომპლექტების იდეა მოსწონს და For.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ წინა არჩევნების დროს „ქართულმა ოცნებამ“ საპარლამენტო სიაში ტენდენციურად შეიყვანა სხვადასხვა პროფილის ადამიანები, რომლებიც მათ ნაციონალებთან ომში გამოადგნენ. ამის გამო მოგვიანებით ბევრი სირთულე შეხვდა „ქართულ ოცნებას“.

„ამიტომ კარგი გადაწყვეტილებაა, მართლაც ინტელექტუალური და კვალიფიციური რესურსით დააკომპლექტონ პოლიტიკური პარტია. თუმცა, არიან ადამიანები, რომლებიც ამავე ინტელექტკლუბთან იყვნენ ასოცირებულნი, მაგრამ ისინი პოზიტიური იმიჯით ვერ დაიკვეხნიან. ამიტომ ცალკეული პიროვნებების იმიჯმეიკინგის წარმოება კიდევ ცალკე თემაა და ის არ არის მარტივი პროცესი. ზოგადად, ქართულ პოლიტიკურ პარტიებს ადამიანურ რესურსთა მწვავე დეფიციტი აქვთ. არსებობენ ერთი ადამიანით დაკომპლექტებული პოლიტიკური პარტიები. კადრების სიმწირის მხრივ არც „ქართული ოცნებაა“ გამონაკლისი. გარკვეული ხნის განმავლობაში საშუალება მომეცა, უფრო ხშირი ურთიერთობა მქონოდა მმართველ ძალასთან და დავრწმუნდი, რომ ისინი საკადრო და ადამიანური რესურსების მწვავე დეფიციტში არიან. თუმცა, რამდენად შეძლებენ, გაუფრთხილდნენ უკვე მათთან მყოფ ადამიანებს, ეს ცალკე თემაა.

თვითონ „საზოგადოება 20/30“-ის ფარგლებშიც მიმდინარეობს ძალთა ბალანსის გადანაწილება და იქ არიან საინტერესო ადამიანები, მაგრამ „საზოგადოება 20/30-მა“ თავად ამ ადამიანებს არ შეუქმნა დიდი მოტივაცია, რომ იქ დარჩენილიყვნენ და თანამშრომლობა გაეგრძელებინათ. არაერთი ადამიანი ვიცი, რომელმაც აღარ არჩია „20/30“-თან თანამშრომლობა.

საქართველოში ერთი ცუდი ტენდენცია გვაქვს, ადამიანებს სამუშაო მოტივაციას არ ვაძლევთ. ხშირად ვაწყდებით რთულ და მახინჯ საკომუნიკაციო სივრცეს პარტიის აღმასრულებლებთან, ეს არის ინტრიგები, არასასურველი დინება, რაც აფრთხობს იქ მყოფ საინტერესო ადამიანებს. ან არწივი უნდა იყო, რომ ცაში აფრინდე, ან ქვემძრომი, რომ აძვრე, ამიტომ ასეთ სივრცეს ღირსეული ადამიანები განერიდებიან. ადგილზე კი რჩებიან ადამიანები, რომლებიც არასასურველი დინებებით ცდილობენ ფონს გასვლას“, —აღნიშნა არჩილ გამზარდიამ.

მანვე განმარტა, რომ დღევანდელ მმართველ ძალას (ისევე, როგორც ძველ მმართველ ძალას) ინტრიგის მხლართავი ადამიანები დიდი რაოდენობით ჰყავს შემოკრებილი. თუ მმართველ ძალაში გადაწყვეტილების მიმღებ პირებად კვლავაც აქტიურად დარჩებიან ასეთი ადამიანები, მათთან შესული ნებისმიერი სუბიექტი მხოლოდ დროებით შევა და მერე ეს ხალხი თავადვე დაუპირისპირდება ამ ძალას.

პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე For.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ ზოგადად, ქვეყანაში კადრების დეფიციტია, მით უმეტეს, ინტელექტუალური კადრების დეფიციტი. ჩვენი პარტიული და სახელისუფლო ცხოვრება ისე არ არის მოწყობილი, რომ ბუნებრივად ხდებოდეს კადრების შერჩევა.

თუ რატომ კეთდება აქცენტი ინტელექტუალურ შემადგენლობაზე, ამას პოლიტოლოგი ასეთ ახსნას უძებნის - პირველ რიგში, ეს არის ცნობადობა. ამ ადამიანების გაპიარება და საზოგადოების წინაშე წარმოჩენა უფრო ადვილია. შესაბამისად, ინტელექტუალური კლუბის წევრები ხდებიან ამა თუ იმ პოლიტიკური ორგანიზაციის წევრები, იქნება ეს ნაციონალური მოძრაობა, „ქართული ოცნება“ თუ სხვა.

„ფაქტობრივად, ეს კარგ საშუალებას იძლევა, რომ ხელისუფლებამ მოსახლეობას უთხრას, რაც ქვეყანაში რესურსია, სწორედ იქიდან ვიზიდავთ საუკეთესოს, ვიზიდავთ იმ ინტელექტუალებს, რომლებსაც საზოგადოება მეტ-ნაკლებად პატივს სცემს, რომლებიც ჯერჯერობით არ ყოფილან საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულნი და გამოცდილება დაგროვილი არა აქვთ, მაგრამ არც უარყოფითი დამოკიდებულება აქვს მათდამი.

ამ ფაქტორებიდან გამომდინარე, ყველა პოლიტიკური ძალა ცდილობს, მიიზიდოს ეს კადრები. საინტერესოა მეორე მხარეც, რასაც ყურადღებას აქამდე არავინ აქცევდა. კერძოდ ის, რომ **ინტელექტუალებს მხოლოდ ხელისუფლებისკენ გაურბით თვალი. ისინი ნაციონალური მოძრაობის წევრები გახდნენ მაშინ, როცა ნაციონალური მოძრაობა მოვიდა ხელისუფლებაში და ახლა, ალბათ, „ქართული ოცნების“ წევრები გახდებიან, რადგან „ოცნებაა“ ხელისუფლებაში.**

ეს სამწუხარო რეალობაა, რაც ჩვეულებრივი მოვლენა გახდა ქართულ სინამდვილეში და, ალბათ, ეს პროცესი გაგრძელდება. პოლიტიკური ცხოვრება საქართველოში იმგვარადაა მოწყობილი, რომ პარტიული დემოკრატიაც არ არსებობს. ისეთი პოლიტიკური მოღვაწე, როგორიც ჩერჩილია, დღეს ვერ დაიკავებდა პარტიის ლიდერის პოსტს. ამ დროს მთელი სისტემები მუშაობს დასავლეთში, რომ სწორად შეირჩეს პარტიული და საკადრო რესურსი და გუშინდელი ინტელექტუალი ხვალ არ გახდეს პარლამენტის წევრი.

მით უფრო, რომ პარლამენტარის სამუშაო ძალზე განსხვავდება სხვა ნებისმიერი პროფესიისგან - თუ პოლიტიკაში გინდა, რაღაც სკოლა უნდა გაიარო. სამწუხაროდ, არ დამთავრდა პროცესი, როცა ქუჩიდან ხდებიან პარლამენტის წევრები. მერე გვიკვირს, რომ პარლამენტში არ მიმდინარეობს მუშაობა, აღარაფერს ვამბობ აღმასრულებელ ხელისუფლებაზე“, — აღნიშნა ვახტანგ ძაბირაძემ.

მისი თქმით, საქართველოში არსებული პარტიული თუ პოლიტიკური რესურსი ორი პარტიისთვისაც არ არის საკმარისი. ჩვენთან კი რამდენი პარტიაა და ეს რესურსი გადანაწილებულია ძირითადად პარტიულ ლიდერებზე.

„ნიკა გვარამიასგან განსხვავებთ, გედევან ფოფხაძეს რაღაც ეტაპები გავლილი აქვს. იგი საკმაოდ დიდი ხანია პოლიტიკაშია, მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც „რა? სად? როდის?“ სკამიდან შეიძლება პირდაპირ გახდნენ პარლამენტარები ან აღმასრულებელი ხელისუფლების წევრები. ეს არც მათთვისაა კარგი და არც ქვეყნისთვის. ამ კომპლექსურ პრობლემას საარჩევნო სისტემის შეცვლა სჭირდება, რადგან პროპორციული სისტემა კადრების კიდევ უფრო დიდ დეფიციტს აჩენს“.

მანანა ნოზაძე

◎ საბოტაჟის ახალი ფორმა

ესეც ეროვნული ბანკის ბრალია!

ლომბარდებში მსესხებელთა რაოდენობა გაორმაგდა

ბოლო ორი თვის განმავლობაში ლომბარდებში ხალხი ნივთებს მასობრივად ტოვებს. თუმცა, მომხმარებლის გადახდისუნარიანობა 35-40%-ით შემცირდა. ლომბარდების მენეჯერთა განცხადებით, კლიენტთა დიდი ნაწილი პროცენტის გადახდას ვერ ახერხებს, რის გამოც ჩაბარებული ნივთების გაყიდვა უწევთ.

ის, რომ მომხმარებელთა მხრიდან სალომბარდე სესხებზე მოთხოვნა გაიზარდა რამდენიმე ლომბარდში დაგვიდასტურეს.

„რამდენიმე ათასი ლარის ოქრო და ტექნიკა დაგვიგროვდა. მაგრამ იმის გამო, რომ პროცენტს ვერ იხდიან, იძულებული ვართ, გავყიდოთ. სალომბარდე სესხის აღებისკენ მოსახლეობის უმეტესობას ლარის გაუფასურებამ უბიძგა, რამაც დოლარში აღებული ვალდებულებების ხარჯები მნიშვნელოვნად გაზარდა“, — გვითხრეს ერთ-ერთ ლომბარდში.

მოთხოვნის პარალელურად, სალომბარდე ბიზნესი ფართოვდება და მათი რაოდენობის ზრდა სულ უფრო თვალშისაცემი ხდება. კონკურენციის გამო, ლომბარდების უმეტესობა მომხმარებლებს დაბალ — 1,5%-დან 3%-მდე საპროცენტო განაკვეთს სთავაზობს.

იგივე პრობლემაზე საუბრობენ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მენეჯერები. მათი თქმით, ბოლო რამდენიმე თვეა მსესხებელთა რაოდენობა გაორმაგდა. თუმცა, აღებული სესხის დაფარვა უჭირთ.

ორგანიზაცია 20/30-ის წევრმა მიხეილ დონდუამ ხpn-თან საუბრისას განაცხადა, რომ 2015 წლის ივნისიდან ბანკების მიერ იურდიულ პირებზე ლარში ახლადგაცემული სესხების 70% ფინანსურ შუამავლობაზე მოდის, ანუ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, ლომბარდებისა და სავალუტო ჯიხურების დაკრედიტებაზე.

„ბოლო პერიოდში მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდების გააქტიურება აშკარად თვალშისაცემია. მათი საკრედიტო შეთავაზებების ბოლო გააქტიურება სწორედ სამომხმარებლო კრედიტების მიმართულებით არის, რომელიც სავაჭრო ბალანსზე უარყოფითად მოქმედებს, ვიდრე ეკონომიკის ზრდაზე. ამ შემთხვევაში საჭიროა სერიოზული მარეგულირებელი პოლიტიკის გატარება. სამწუხაროა, რომ ამ მიმართულებით ეროვნული ბანკის მხრიდან ნაბიჯების გადადგმას ვერ ვხედავთ. რაც შეეხება, სესხის მიწოდების პოლიტიკას, ლომის წილი — 70% ფინანსურ შუამავლობაზე მოდის. როგორც ეროვნული ბანკი განმარტავს, ეს არის ბანკთაშორისი კრედიტები, თუმცა, ეს პრობლემას არ წყვეტს, პირიქით, ამძაფრებს. თუ კრედიტების საგარეო ნაკადების 70% საბანკო სივრცეს არ ტოვებს, ჩაკეტილ სისტემაში მოძრაობს და ხმარდება არა ეკონომიკის გაძლიერებასა და სექტორების დაფინანსებას, არამედ ბანკთაშორის შეცილვას, რაც ნიშნავს, რომ ლარზე მოთხოვნა გაზრდილია და ნაცვლად იმისა, რომ ბანკებს ჰქონდეთ საფუძველი გაყიდონ დოლარი და იყიდონ ლარი, ლარზე მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ეროვნული ბანკის რეფინანსირება მათ აძლევთ ყამირ ნიადაგს, რათა ერთმანეთში გასესხებით ლარზე მოთხოვნა დაიკმაყოფილონ და ლარის კურსი გაუფასურდეს“, — განაცხადა მიხეილ დონდუამ.

თინათინ გურაშვილი

შეუღლება მხოლოდ ხუთი წლით

ჩვენში არაადეკვატური პოლიტიკოსებით ვერავის გააკვირვებ, რომ იტყვიან, საკუთარი „ჰოთმოფეხიანებიც“ ბლომად გვყავს, მაგრამ რუსეთელი „რუსი დედისა და იურისტი მამის“ ვაჟიშვილი, ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი ვლადიმერ ჟირინოვსკი ამ მხრივ მსოფლიოში მაინც „მოწიავე პოზიციაზეა“.

მისი იდეებისა და სუპერამბიციური მისწრაფებების, მოსაზრებებს სამოქალაქო საზოგადოებისა და ქვეყნის სამხედრო მანქანის მოწყობის შესახებ, გაზეთის ერთი ტირაჟი კი არა, მთელი წლის ნომრები არ ეყოფა, ამიტომ ამ ჯერზე მხოლოდ ერთ „მარგალიტზე“ შევჩერდებით. მისი „გონივრული“ აზრით, „ცოლ-ქმრობის ვადა ხუთი წლით უნდა იყოს განსაზღვრული... თუ მეუღლეები მის გაგრძელებას მოისურვებენ – კეთილი, თუ არა და მორჩა, კონტრაქტის ვადა ამოიწურა, ყველანი თავისუფლები არიან...“

აი, ასეთნაირად!

აინშტაინზე ჭკვიანი

მეცნიერთა დაკვირვებით, ბოლო წლებში მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში საგრძნობლად იმატება ეგრეთ წოდებულ „ინდიგოს ბავშვთა“ რიცხვმა, რომლებიც თავიანთი გონებრივი განვითარების დონით არა თუ თანატოლებს – უფროსებსაც, თავიანთ მშობლებსა და პედაგოგებს უსწრებენ.

მეტიც: ზოგიერთის ინტელექტუალური განვითარების კოეფიციენტი (IQ) კაცობრიობის გამოჩენილი მეცნიერებისაზე მაღალიც კი არის! კერძოდ, შარშან მსოფლიოში ყველაზე ჭკვიან ბავშვად 11 წლის დიდი ბრიტანელი ვიქტორია კაუი აღიარეს, რომლის IQ 162-ია და ორი პუნქტით აღემატება... ალბერტ აინშტაინის ინტელექტუალური განვითარების ინდექსს, 6 პუნქტით – ზიგმუნდ ფროიდის და 18 პუნქტით – ნაპოლეონ ბონაპარტისას (!!)

ბამბუკისა და ლამაზი ხედების სამკურნალო სასწაული

ცნობილი ავიაკონსტრუქტორის, ილიუშინის ვაჟიშვილი, მფრინავ-გამომცდელი ვლადიმერი, ავტოკატასტროფაში მძიმედ დაშავდა, პროფესიულ კარიერას თითქოს წერტილი დაესვა...

სამკურნალოდ ვლადიმერი ილიუშინი ჩინეთში გაამგზავრეს, ქალაქ ხანჯოუს კლინიკაში ექმებმა მას მასაჟი, სპეციალური ტანვარჯიში და... ადგილობრივი სამზარეულოს კერძები დაუნიშნეს, რომლის მთავარი დელიკატესი სიცოცხლისმყოფელი ძალის მქონე ბამბუკია. მკურნალობის „სავალდებულო პროგრამაში“ ასევე შედიოდა ქალაქის შემოგარენის ხედებით ტკბობა. 35-დღიანი სარეაბილიტაციო ციკლის გავლის შემდეგ კი სასწაული მოხდა – ვლადიმერს ხელ-ფეხიდან რკინის საბურავები მოხსნეს და ყავარჯნებიც გადააგდებინეს (!), კიდევ ერთი თვის შემდეგ კი იგი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას შეუდგა!

მიკრობების... ზოოპარკი

ამსტერდამში მსოფლიოში პირველი მიკრობების ზოოპარკი გაჩნდა.

ახალი პროექტის მიზანია, ხალხს დაანახონ, რომ ბუნებაში ყველაფერი ურთიერთკავშირშია და, შესაბამისად, მიკროორგანიზმებიც ამ კავშირთა მნიშვნელოვანი რგოლია.

ამსტერდამის ახალი ზოოპარკი უფრო ლაბორატორიას ჰგავს. მიკროსკოპებთან შეერთებულ დიდ ეკრანებზე მნახველები თავის თვალით ხედავენ, თუ რა ხდება სინჯარებსა და პეტრის ჯამებში. სპეციალური 33 მიკროსკოპი მიკრობების გამრავლების პროცესს აჩვენებს. სკანერის ტიპის მოწყობილობის მეშვეობით შეიძლება იმის გამოთვლა, თუ რამდენი მიკრობია ზოოპარკის მნახველის სხეულზე. შეყვარებულებს კი იმის გაგება შეუძლიათ, თუ რამდენ ბაქტერიებს ცვლიან ისინი ერთმანეთში კოცნის დროს.



როცა გალამაზება... მავნეა

ამერიკელმა სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ სახის პლასტიკური ოპერაციები თავის ტვინის ნეირონების დაბერებასა და მთელი ნერვული სისტემის მუშაობის დარღვევას იწვევენ.

თურმე, თავის ტვინი დიდი ხნის მანძილზე... პაციენტის სახის ახალ მიმიკას ვერ ეჩვევა. ეს დასკვნა მეცნიერებმა პლასტიკური ქირურგიის კლინიკაში ჯანმრთელ პაციენტებზე დაკვირვების შედეგად გამოიტანეს. საქმე ის არის, რომ ინფორმაციის უდიდეს მოცულობას ადამიანი ჟესტებისა და ემოციების მეშვეობით გადმოსცემს. მიმიკა მონაწილეობს ურთიერთობის პროცესში, ხოლო მნიშვნელობის სახით მეცნიერები მას მეტყველებას უთანაბრებენ. მიმიკის ხელოვნური ცვლილება ადამიანის ბუნებრივ განცდებს ცვლის, რომლებიც გარეთ „ვეღარ აღწევენ“. ამის შედეგად, თავის ტვინში ემოციებზე კონტროლი ირღვევა, თავს იჩენენ სხვა დისფუნქციებიც.

... უმჯობესია, მოვერიდოთ

ორგანიზმის მდგომარეობა, გნებავთ, ჯანმრთელობა, დიდადაა დამოკიდებული ჩვენი კვების რაციონზე. დღესდღეობით, როცა აუარება ნატურალურ კვების პროდუქტს კონსერვანტებით ცვლიან, საკვების არჩევას დიდი სიფრთხილით უნდა მივუდგეთ. საქმე ის არის, რომ ჯანმრთელობისთვის ზიანის მომტან კვების პროდუქტებშიც კი, ზოგიერთს განსაკუთრებით უნდა მოერიდოთ.

მათ შორის, უწინარესად, ტრანსცხიმები უნდა დავასახელოთ. ისინი ყველაზე მეტია შემწვარ კარტოფილში, ნამცხვრებში, მაკარონში. ტრანსცხიმები გულის დაავადებებისა და სიმსუქნის მიზეზია, ასევე იწვევენ ანთებით პროცესებს, მათი ინტენსიურად მომხმარებლები კი თანატოლებზე ურო ხანდაზმულად გამოიყურებიან.

ტკბილეულში, ტკბილ გაზიან სასმელებსა და კონსერვებში დიდი ოდენობითაა გლუკოზისა და ფრუქტოზის სიროფი, რომელიც, მართალია, საკვების გემოს კი აუმჯობესებს, მაგრამ მისი სიჭარბე გულისა და ღვიძლის დაავადებებს, ასევე კარიესს იწვევს.

მავნე პროდუქცია აგრეთვე სუფრის მარილი, რომელიც ორგანიზმში წყალს აკავებს და ჰიპერტონიის გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზია.

ორგანიზმისთვის საზიანოა აგრეთვე გადამუშავებული ხორცი – ძეხვი, ბეკონი, ლორი, რომლებიც დიდი ოდენობით კონსერვანტებს შეიცავენ, რის გამო კანთან პრობლემები წარმოიშვება ხოლმე და ხელს უწყობენ ანთებითი პროცესების განვითარებას.

ალკოჰოლი კი, პირველ ყოვლისა, ღვიძლს არ უხდება, რომელიც ტოქსინებს ანეიტრალებს, ამიტომ მისი მოხმარება ზომიერადაა საჭირო.

თუმცა კი, ამის შესახებ ყველამ ისედაც კარგად ვუწყით...

შემეცნების სიტკბო

ახალი ენის შესწავლას ისეთივე სიამოვნება ახლავს, როგორც სექსს, აზარტულ თამაშებში მოგებასა და გემრიელ საჭმელს – ეს დასკვნა გერმანელმა და ესპანელმა მეცნიერებმა ერთიანი კვლევის შედეგად გამოიტანეს.

მოხალისეები ახალ უცხოურ სიტყვებს იმახსოვრებდნენ, ენობრივ ტესტებს გადიოდნენ და აზარტულ თამაშებს თამაშობდნენ. ამ დროს კი ათი თავის ტვინის მუშაობას ტომოგრაფის საშუალებით აკვირდებოდნენ. სკანირებამ აჩვენა, რომ მოღვაწეობის აღნიშნული სახეობის დროს, თავის ტვინის ერთი და იგივე უბანი – ეგრეთ წოდებული „სიამოვნების ცენტრი“ აღიგზნებოდა. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ უცხოური სიტყვების დამახსოვრებისას გარკვეული ემოციური დამოკიდებულება წარმოიშვება, რომელიც ენის სწავლის გაგრძელებას გვაიძულებს.

„წერტილოვანი“ სიჭკვიანე

იელის (აშშ) უნივერსიტეტის მეცნიერებმა ერთობ საინტერესო რამ გაარკვიეს: აღმოჩნდა, რომ რაც უფრო მეტ ხანს ატარებს კაცი კომპიუტერთან და ინტერნეტში „ზის“, მით უფრო ჭკვიანი ჰგონია თავი.

ამ დასკვნამდე მკვლევარები მოხალისეთა ორი ჯგუფისთვის დასმულ შეკითხვებზე მიღებული პასუხების გაანალიზების შემდეგ მივიდნენ. მათგან ზოგიერთნი პასუხებს ქსელში ეძებდნენ, სხვები – ბეჭდურ წყაროებში. აღმოჩნდა, რომ ონლაინ-ძებნის ტრფიალნი, სხვებთან შედარებით, თავს უფრო ჭკვიანებად აღიქვამდნენ იმ შემთხვევაშიც კი, როცა... სწორ პასუხს ვერ აგნებდნენ!

კოიმბრა, უძველესი საუნივერსიტეტო ქალაქი

ევროპის უძველეს, გამორჩეულ სასწავლებლებს შორის ღირსეული ადგილი უჭირავს პორტუგალიის ყოფილი დედაქალაქის კოიმბრას 1290 წელს, მეფე დინიშის ბრძანებით დაარსებულ უნივერსიტეტს.

მის რვა ფაკულტეტზე სწავლება ძირითადად პორტუგალიურად მიმდინარეობს. კოიმბრაში უამრავი სტუდენტია, რომელთა გამოჩენაც დანარჩენი მოსახლეობისა თუ აუარება ტურისტისგან ძალიან ადვილია, რადგან ისინი ტრადიციულ შავ ლაბადებში გამოწყობილები დადიან. მათი უმრავლესობა საერთო საცხოვრებლებში ცხოვრობს. მეფე ჟუან III-მა უნივერსიტეტს ქალაქის ბორცვზე გაშენებული თავისი სასახლე უბოძა და ახლა მისი ქანდაკება ამ უმაღლესი სასწავლებლის წინა დგას.

უნივერსიტეტის მთელ შენობას თითქოს საუკუნეთა სურნელება ასდის, მის ულამაზეს ბიბლიოთეკაში კი ძველებური წიგნების სხვადასხვა მავნე მწერისგან დასაცავად... ღამურების მთელი გუნდი ცხოვრობს!

დედამიწის ზურგზე

პარიზის ჩრდილოეთით ხანძრის დროს რვა კაცი დაიღუპა

მსხვერპლთა შორის 2 ბავშვია. ინციდენტის მიზეზი ჯერჯერობით უცნობია. არის ეჭვი, რომ ხანძარი შემთხვევითი არ ყოფილა, რის შესახებაც იუწყება წყარო პოლიციაში. ხანძარი გაჩნდა 4 საათსა და 30 წუთზე ადგილობრივი დროით. მის ჩაქრობაში მონაწილეობას 100-ზე მეტი მეხანძრე ღებულობდა. 2 კაცი დაიღუპა გადარჩენის მცდელობის დროს, როდესაც ფანჯრიდან გადმოხტნენ.

* * *

გაეროს: ღაზის სექტორი შეიძლება სიცოცხლისათვის გამოუსადეგარი აღმოჩნდეს უკვე უახლოეს ხუთ წელიწადში

გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის მოხსენებაში საუბარია იმის შესახებ, რომ სექტორის ეკონომიკურმა ბლოკადამ გაანადგურა შესაძლებლობა აწარმოონ საქონელი საშინაო და საგარეო ბაზრისათვის, სიღარიბეში ჩააგდო მოსახლეობა. სიტუაცია ასევე გააუარესა შეიარაღებულმა კონფლიქტებმა ისრაელთან.

* * *

პრესა განიხილავს ხმებს რუსი სამხედროების მონაწილეობის შესახებ სირიის კონფლიქტში

გამომცემლობა The Daily Beast წერს რომ უკანასკნელ ხანებში საინფორმაციო ველი დაიპყრო ცნობების მოზღვავებამ სირიის კონფლიქტში რუსეთის მონაწილეობის შესახებ, რომელიც ისევ, როგორც ვარაუდობენ, არ აპირებს, შემოიზღუდოს სამხედრო ჩარევით სიტუაციაში უკრაინაში, რის შესახებაც საუბრობენ დასავლეთში.

* * *

აშშ სახელმწიფო დეპარტამენტმა დაიწყო კამპანია სავჩენკოსა და კიდევ 19 პატიმარი ძალის გათავისუფლებისათვის

პატიმარი ქალების სია გამოაქვეყნა თავის Twitter-ში ამერიკის შეერთებული შტატების მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან სამანტა პაუერმა. ადრე უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრომ დაგმო რუსეთის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც პატიმრობის ვადა გაუგრძელა ნადეჟდა სავჩენკოს და მოუწოდა საერთაშორისო გაერთიანებას, გაეძლიერებინა ზემოქმედება რუსეთზე.

* * *

შანდუნის აღმოსავლეთ ჩინეთის პროვინციაში ძიმიურ ქარხანაში აფეთქების მსხვერპლი 5 კაცი გახდა

ინციდენტი მოხდა 31 აგვისტოდან 1 სექტემბრამდე ღამით ქიმიური კომბინატის „ბინიუანის“ ტერიტორიაზე რომელიც საქალაქო ოლქის დუნინის ლინცზინის მაზრაში სამრეწველო რაიონში მდებარეობს. ამჟამად საწარმოში გრძელდება საძიებო სამუშაოები. მიმდინარეობს ავარიის მიზეზების გამოკვლევა, რომლებიც ჯერჯერობით უცნობია.

3900000-ᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲝᲠᲘ ᲒᲕᲔᲬᲕᲘᲐ!..

ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜ საქმეთა სამინისტრო საქართველოს საზღვარზე გადაადგილებულ ვიზიტიორთა სტატისტიკურ მონაცემებს აქვეყნებს. 2015 წლის აგვისტოს თვე 852 377 ვიზიტით განისაზღვრა, რაც 2014 წლის იგივე პერიოდის მაჩვენებელზე 10 %-ით მეტია. ამასთან, შემოღებული პირობითი დაყოფის მიხედვით, ხვედრითი წილის ურთიერთმიმართება ასეთია:

ა) ტურისტი — 383 619 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 45%, მატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით — 2%);

ბ) ტრანზიტი — 224 993 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 26,4%, მატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით — 54%);

გ) სხვა — 243 765 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 28,6%, კლება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით — 3,5%)".

რაც შეეხება იანვარ-აგვისტოს ინტერვალს, შსს-ს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის ინფორმაციით, ქვეყანაში უკვე 3 922 376 ვიზიტი განხორციელდა, რაც 6%-ით მეტია 2014 წლის ანალოგიური საანგარიშო პერიოდის მაჩვენებელზე.

2015 წლის აგვისტოშიც ყველაზე მეტი სტუმრები კვლავ სომხეთიდან (+24,7%), აზერბაიჯანიდან (+8,3%), თურქეთიდან (+10%), რუსეთიდან (+23%) და უკრაინიდან (+5,6%) გვეწვივნენ.. ასევე, პოზიტიური ტენდენცია ნარჩუნდება ევროკავშირის ქვეყნების მიმართულებიდან, საიდანაც საქართველოში ჩამოსვლების რაოდენობის ზრდის კუთხით, იანვარ-აგვისტოშიც გამოირჩნენ ლიტვა, ჩეხეთი, ლატვია, გერმანია, იტალია, დიდი ბრიტანეთი და ნიდერლანდები. შუა აზიის ქვეყნებიდან ყაზახეთი (36%), აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან — ბელორუსიის და მოლდოვას მოქალაქეები 54% და 35%-იანი, ხოლო აზიის ქვეყნებიდან — არაბთა გაერთიანებული საემიროები 766% და საუდის არაბეთი — 75%-იანი მატებით. აქვე აღსანიშნავია ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეების 10%-იანი ზრდა.

ᲝᲖᲣᲠ�გᲔᲗᲨᲘ ᲙᲔᲗᲘᲚᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲘ ᲒᲖᲔᲑᲘ ᲒᲕᲔᲥᲜᲔᲑᲐ

ᲒᲣᲠᲘᲘᲡ სამხარეო ადმინისტრაციის განცხადებით, ქალაქ ოზურგეთში გზების მასშტაბური სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო.

ასფალტის დაგების პროცესი ფარნავაზ მეფის, გურამიშვილისა და რუსთაველის ქუჩებზე მიმდინარეობს. სამუშაოებს შპს „ბლაცკ სეა გროუპ" ახორციელებს.

გზების ინფრასტრუქტურის მოწესრიგების პროცესი სახელმწიფო რწმუნებულმა-გუბერნატორმა გურიის მხარეში გია სალუქვაძემ და ქალაქ ოზურგეთის მერმა ბეგლარ სიორიძემ დაათვალიერეს. როგორც სამხარეო ადმინისტრაციაში აცხადებენ, პროექტის მიხედვით, აღნიშნული ქუჩების გარდა ასფალტის დაგება მალე ქალაქის კიდევ 16 ქუჩაზე დაიწყება.

სამუშაოების ღირებულება 998 877 ლარს შეადგენს და იგი მიმდინარე წლის ნოემბრის თვეში დასრულდება.

ᲔᲡ „ᲒᲐᲖᲡᲐᲓᲔᲜᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲒᲐᲖᲛᲝᲛᲐᲠᲐᲒᲔᲑᲐᲡ ᲑᲔᲕᲠᲐᲓ ᲒᲐᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲡ

„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ნავთობისა და გაზის კორპორაცია" აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალური გაზსადენის „გორი-ქარელის" 700მმ დიამეტრის 13კმ-იანი მონაკვეთის სამშენებლო სამუშაოებს აგრძელებს.

გაზსადენის აღნიშნულ მონაკვეთზე სამუშაოების 52% შესრულებულია, რაც მიწის ნაყოფიერი ფენის მოხსნას, ტრანშეას გათხრას და მილების შედუღება-იზოლაციას მოიცავს. გაზსადენის ზოგიერთ მონაკვეთზე ასევე ჩატარდა წინასწარი ჰიდრავლიკური გამოცდა.

სამშენებლო სამუშაოებს საერთაშორისო ტენდერში გამარჯვებული კომპანია „საქმილსადენმშენი" აწარმოებს. „ნავთობისა და გაზის კორპორაციის" ინფორმაციით, აღსანიშნავია, რომ „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ" გორი-ქარელის მონაკვეთზე 2014 წელს დაასრულა აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალური გაზსადენის 20კმ-იანი სეგმენტის მშენებლობა, რომლის გაგრძელებასაც წარმოადგენს დღეისთვის მიმდინარე სამუშაოები.

აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალური გაზსადენის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულებას სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია" 2017 წელს გეგმავს.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲔᲚᲔᲑᲡ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲐᲠ ᲨᲔᲐᲬᲣᲮᲔᲑᲗ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ აზიის განვითარების ბანკის დაფინანსებით ქუთაისში წყალმომარაგების ქსელის მასშტაბური სამუშაოები დაიწყო.

პროექტი სატუმბო სადგურების, რეზერვუარების და გამანაწილებელი ქსელის (332 კმ) მშენებლობას ითვალისწინებს. სამშენებლო სამუშაოების მეორე ფაზა, გაერთიანებული წყალმომარგების კომპანიის დირექტორმა ნიკოლოზ ქიზიყურაშვილმა ადგილობრივ ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა და ობიექტზე მიმდინარე სამუშაოებს პირადად გაეცნო. სამუშაოების დასრულების შემდეგ, მრავალი წლის მანძილზე არსებული წყალმომარაგების პრობლემა მოგვარდება და ადგილობრივი მცხოვრებლები 24-საათიანი წყალმომარაგებით ისარგებლებენ. პროექტი, რომლის ღირებულება 86 მილიონ ლარზე მეტია, 2018 წელს დასრულდება. წყალმომარაგების სამუშაოებზე 200 - მდე ადამიანი დასაქმდება.

ᲐᲠᲐᲙᲐᲜᲝᲜᲘᲔᲠᲐᲓ ᲨᲔᲫᲔᲜᲘᲚ ᲘᲐᲠᲐᲦᲔᲑᲡ ᲡᲐᲡᲐᲤᲚᲐᲝᲖᲔ ᲛᲐᲚᲐᲕᲓᲐ

ᲪᲔᲪᲮᲚᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის და გასაღების ბრალდებით, 1978 წელს დაბადებული გიორგი ფ. თბილისში, ხოლო 1973 წელს დაბადებული გიორგი გ. გორის რაიონის სოფელ არბოში დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ გიორგი ფ-მ თბილისში, იარაღის ერთ-ერთ მაღაზიაში, „გლოკის" სისტემის ორი პისტოლეტი შეიძინა, რომლებიც შენახვის უფლებით გაიფორმა. აღნიშნული პისტოლეტები მან წინასწარი შეთანხმებით, გიორგი გ-ს 1500 ლარად, უკანონოდ მიჰყიდა. სამართალდამცველებმა გიორგი გ-ს საცხოვრებელი სახლის და ავტომანქანის ჩხრეკისას 3 საბრძოლო ვაზნა, ხოლო სოფელ არბოს სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიიდან, მის მიერ გადამალული, უკანონოდ შეძენილი, „გლოკის" სისტემის 2 არარეგისტრირებული პისტოლეტი ამოიღეს.

ᲘᲜᲢᲔᲠᲞᲠᲔᲡᲘ

ᲗᲕᲘᲗᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲗᲔᲛᲘ ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲑᲚᲘᲡ

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲐ №924

„01" სექტემბერი 2015 წ. ქ. თელავი

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 11 აგვისტოს №837 ბრძანების ნაწილობრივ ბათილად ცნობის და ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილის და ამავე კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად,

Ვ Ბ Რ Ძ Ა Ნ Ე Ბ:

1. ბათილად იქნას ცნობილი „თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების მიზნით განმეორებითი საჯარო აუქციონის გამოცხადების შესახებ" თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 11 აგვისტოს №837 ბრძანების დანართი №1-ით დამტკიცებული, თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის მე-9 და მე-11 მუხლები, ასევე ამავე ბრძანების დანართი №2-ით დამტკიცებული, თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განმეორებითი უპირობო საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ ინფორმაციაში მითითებული ლოტი №9 და ლოტი №11 (თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ გულგულაში მდებარე 119 148 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ს/კოდი №53.09.34.104 და თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ გულგულაში მდებარე 154 920 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ს/კოდი №53.09.34.106).

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების მიზნით განმეორებითი საჯარო აუქციონის გამოცხადების შესახებ" თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 11 აგვისტოს №837 ბრძანების დანართი №1-ით დამტკიცებული, თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის მე-6, მე-7, მე-8, მე-10, მე-12, მე-13, მე-14, მე-15, მე-16, მე-17, მე-18 და მე-19 მუხლები, ასევე ამავე ბრძანების დანართი №2-ით დამტკიცებული, თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განმეორებითი უპირობო საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ ინფორმაციაში მითითებული ლოტი №6, ლოტი №7, ლოტი №8, ლოტი №10, ლოტი №12, ლოტი №13, ლოტი №14, ლოტი №15, ლოტი №16, ლოტი №17, ლოტი №18 და ლოტი №19 (თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი უძრავი ქონება:

6. თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ გულგულაში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) მიწის ნაკვეთი (ს/კოდი №53.09.32.027, 103995 კვ.მ).

7. თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ გულგულაში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) მიწის ნაკვეთი (ს/კოდი №53.09.34.102, 47144 კვ.მ).

8. თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ გულგულაში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) მიწის ნაკვეთი (ს/კოდი №53.09.34.103, 20272 კვ.მ).

10. თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ გულგულაში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) მიწის ნაკვეთი (ს/კოდი №53.09.34.105, 48031 კვ.მ).

12. თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ გულგულაში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) მიწის ნაკვეთი (ს/კოდი №53.09.32.028, 30054 კვ.მ).

13. თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ გულგულაში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) მიწის ნაკვეთი (ს/კოდი №53.09.41.021, 22667 კვ.მ).

14. თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ გულგულაში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) მიწის ნაკვეთი (ს/კოდი №53.09.32.029, 66784 კვ.მ).

15. თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ გულგულაში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) მიწის ნაკვეთი (ს/კოდი №53.09.34.108, 20771 კვ.მ).

16. თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ გულგულაში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) მიწის ნაკვეთი (ს/კოდი №53.09.34.109, 108058 კვ.მ).

17. თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ გულგულაში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) მიწის ნაკვეთი (ს/კოდი №53.09.34.110, 101104 კვ.მ).

18. თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ გულგულაში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) მიწის ნაკვეთი (ს/კოდი №53.09.34.111, 14566 კვ.მ).

19. თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ გულგულაში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) მიწის ნაკვეთი (ს/კოდი №53.09.32.030, 62449 კვ.მ).

3. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია ოფიციალურად გაცნობიდან 1 თვის ვადაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი №41).

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲜᲐᲞᲘᲠᲔᲚᲘ,
გამგებლის პირველი მოადგილე,
გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი

განცხადება

ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2015 წლის 18 აგვისტოს №1–1/352 ბრძანების საფუძველზე:

ზესტაფონი-ქუთაისი-სამტრედიის საავტომობილო გზის ქუთაისის ახალი შემოსავლელი საავტომობილო გზის მონაკვეთის მშენებლობის პროექტის აღმოსავლეთ-დასავლეთის საქართველოს E-60 მაგისტრალის განახლებისა და რეკონსტრუქციის პროექტით ქუთაისის ნიკეას ქუჩისა და ქუთაისის შემოვლითი ავტომაგისტრალის გეგუთის კვანძთან შემაერთებელი გზის მონაკვეთზე დაგეგმილია მშენებლობის სამუშაოების განხორციელება.

პროექტის განხორციელებისათვის აუცილებელი გახდა კერძო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გამოსყიდვა და სახელმწიფო საკუთრებად დარეგისტრირება, შესაბამისად, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, რომელიც წარმოადგენს პროექტის განმახორციელებელ უწყებას, ზესტაფონი- ქუთაისი-სამტრედიის საავტომობილო გზის მონაკვეთისათვის დამუშავდა განსახლების სამოქმედო გეგმა, რომლის თანახმად გათვალისწინებული იქნა მშენებლობის პროექტის ზემოქმედების არეალში მოხვედრილი უძრავი ქონების მესაკუთრეების მიმართ საკომპენსაციო თანხების ანაზღაურება.

ზემოაღნიშნული პროექტის განხორციელებისათვის აუცილებელი გახდა კერძო საკუთრებაში არსებული 1 ერთეული მიწის ნაკვეთის გამოსყიდვა, რასთან დაკავშირებითაც მიმდინარეობდა მოლაპარაკებები თანამესაკუთრეებთან, მაგრამ ვერ იქნა მიღწეული შესაბამისი შეთანხმება ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების შესახებ. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა, მიწის ნაკვეთის მესაკუთრეებს წერილობით შესთავაზა განსახლების სამოქმედო გეგმით განსაზღვრული კომპენსაციის მიღება, რაზეც თანამესაკუთრეებს წერილობითი პასუხი არ გაუციათ. ამავე წერილებით მესაკუთრეები ინფორმირებული იყვნენ, რომ უარის შემთხვევაში საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით მიმართავდა სასამართლოს ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

იმის გათვალისწინებით, რომ ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება, არსებობს ექსპროპრიაციის გზით საკუთრების უფლების ჩამორთმევის საჭიროება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–2 მუხლის მე–2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად. ამავე კანონის მე–3 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად 2015 წლის 18 აგვისტოს გამოიცა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის №1–1/352 ბრძანება, რომლის თანახმად 2 ერთეულ მიწის ნაკვეთზე ექსპროპრიაციის უფლება მიენიჭა საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს (ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე 2015 წლის 24 აგვისტოს).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2015 წლის სექტემბრის თვეში საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი გეგმავს სასამართლოში განცხადების შეტანას, რათა მოიპოვოს ექსპროპრიატორის უფლება სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–3 მუხლის მე–2 პუნქტის შესაბამისად უძრავი ქონების მესაკუთრეებს დამატებით ეცნობებათ სასამართლოში განცხადების შეტანისა და განცხადების განხილვის შესახებ.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2015 წლის 18 აგვისტოს №1–1/352 ბრძანებით განსაზღვრული თანამესაკუთრეების ჩამონათვალი, რომელთა ქონებაზეც უნდა გავრცელდეს ექსპროპრიაციის უფლება:

გელა ლანჩავას (პ/ნ: 21001011391), ლელა ლანჩავას (პ/ნ: 21001010493) და ნანული ლანჩავას (პ/ნ: 21001022335) თანასაკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდი № 33.02.34.009, მიწის ნაკვეთის მთლიანი ფართი 4470 კვ.მ) პროექტისათვის საჭირო საექსპროპრიაციო მიწის ნაკვეთის ფართი: 800 კვ.მ.

განცხადება

ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2015 წლის 18 აგვისტოს №1–1/352 ბრძანების საფუძველზე:

სამტრედია-გრიგოლეთის საავტომობილო გზის კმ42+000-კმ51+570 მონაკვეთზე დაგეგმილია პროექტით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების განხორციელება. პროექტის განხორციელებისათვის აუცილებელი გახდა კერძო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გამოსყიდვა და სახელმწიფო საკუთრებად დარეგისტრირება, შესაბამისად, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, რომელიც წარმოადგენს პროექტის განმახორციელებელ უწყებას, სამტრედია-გრიგოლეთის საავტომობილო გზის კმ42+000-კმ51+570 (ლოტი IV) მონაკვეთისათვის დამუშავდა მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმა. განსახლების გეგმით გათვალისწინებული იქნა მშენებლობის პროექტის ზემოქმედების არეალში მოხვედრილი უძრავი ქონების მესაკუთრეების მიმართ საკომპენსაციო თანხების ანაზღაურება.

ზემოაღნიშნული პროექტის განხორციელებისათვის აუცილებელი გახდა კერძო საკუთრებაში არსებული 2 ერთეული მიწის ნაკვეთის გამოსყიდვა, რასთან დაკავშირებითაც მიმდინარეობდა მოლაპარაკებები მესაკუთრეებთან, მაგრამ ვერ იქნა მიღწეული შესაბამისი შეთანხმება ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების შესახებ. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა, მიწის ნაკვეთის მესაკუთრეებს წერილობით შესთავაზა განსახლების სამოქმედო გეგმით განსაზღვრული კომპენსაციის მიღება, რაზეც ერთმა მესაკუთრემ (ეთერ იმედაშვილი) წერილობითი უარი განაცახადა, ხოლო მეორე მესაკუთრეს (ალექსანდრე იმედაშვილი) წერილობითი პასუხი არ გაუცია. ამავე წერილებით მესაკუთრეები ინფორმირებული იყვნენ, რომ უარის შემთხვევაში საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით მიმართავდა სასამართლოს ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

იმის გათვალისწინებით, რომ ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება, არსებობს ექსპროპრიაციის გზით საკუთრების უფლების ჩამორთმევის საჭიროება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–2 მუხლის მე–2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად. ამავე კანონის მე–3 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად 2015 წლის 18 აგვისტოს გამოიცა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის №1–1/352 ბრძანება, რომლის თანახმად 2 ერთეულ მიწის ნაკვეთზე ექსპროპრიაციის უფლება მიენიჭა საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს (ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე 2015 წლის 24 აგვისტოს).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2015 წლის სექტემბრის თვეში საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი გეგმავს სასამართლოში განცხადების შეტანას, რათა მოიპოვოს ექსპროპრიატორის უფლება სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–3 მუხლის მე–2 პუნქტის შესაბამისად უძრავი ქონების მესაკუთრეებს დამატებით ეცნობებათ სასამართლოში განცხადების შეტანისა და განცხადების განხილვის შესახებ.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2015 წლის 18 აგვისტოს №1–1/352 ბრძანებით განსაზღვრული მესაკუთრეების ჩამონათვალი, რომელთა ქონებაზეც უნდა გავრცელდეს ექსპროპრიაციის უფლება:

1. ალექსანდრე იმედაშვილის (პ/ნ:26001000775) საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდი № 27.15.47.253, მიწის ნაკვეთის მთლიანი ფართი 3926 კვ.მ) პროექტისათვის საჭირო საექსპროპრიაციო მიწის ნაკვეთის ფართი: 2262 კვ.მ;

2. ეთერ იმედაშვილის (პ/ნ:01005002960) საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდი №27.15.47.251, მიწის ნაკვეთის მთლიანი ფართი 2319კვ.მ) პროექტისათვის საჭირო საექსპროპრიაციო მიწის ნაკვეთის ფართი: 2319 კვ.მ.

განცხადება

ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2015 წლის 18 აგვისტოს №1–1/352 ბრძანების საფუძველზე:

აღმოსავლეთ-დასავლეთის საქართველოს E-60 მაგისტრალის განახლებისა და რეკონსტრუქციის პროექტით ქუთაისის ნიკეას ქუჩისა და ქუთაისის შემოვლითი ავტომაგისტრალის გეგუთის კვანძთან შემაერთებელი გზის მონაკვეთზე დაგეგმილია რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის სამუშაოების განხორციელება.

პროექტის განხორციელებისათვის აუცილებელი გახდა კერძო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გამოსყიდვა და სახელმწიფო საკუთრებად დარეგისტრირება, შესაბამისად, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, რომელიც წარმოადგენს პროექტის განმახორციელებელ უწყებას, ქუთაისის ნიკეას ქუჩისა და ქუთაისის შემოვლითი ავტომაგისტრალის გეგუთის კვანძთან შემაერთებელი გზის მონაკვეთისათვის დამუშავდა განსახლების სამოქმედო გეგმა, რომლის თანახმად გათვალისწინებული იქნა მშენებლობის პროექტის ზემოქმედების არეალში მოხვედრილი უძრავი ქონების მესაკუთრეების მიმართ საკომპენსაციო თანხების ანაზღაურება.

ზემოაღნიშნული პროექტის განხორციელებისათვის აუცილებელი გახდა კერძო საკუთრებაში არსებული 2 ერთეული მიწის ნაკვეთის გამოსყიდვა, რასთან დაკავშირებითაც მიმდინარეობდა მოლაპარაკებები მესაკუთრესთან, მაგრამ ვერ იქნა მიღწეული შესაბამისი შეთანხმება ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების შესახებ. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა, მიწის ნაკვეთების მესაკუთრეს წერილობით შესთავაზა განსახლების სამოქმედო გეგმით განსაზღვრული კომპენსაციის მიღება, რაზეც წერილობითი უარი იქნა მიღებული. ამავე წერილებით მესაკუთრე ინფორმირებული იყო, რომ უარის შემთხვევაში საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით მიმართავდა სასამართლოს ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

იმის გათვალისწინებით, რომ ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება, არსებობს ექსპროპრიაციის გზით საკუთრების უფლების ჩამორთმევის საჭიროება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–2 მუხლის მე–2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად. ამავე კანონის მე–3 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე 2015 წლის 18 აგვისტოს გამოიცა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის №1–1/352 ბრძანება, რომლის თანახმად 2 ერთეულ მიწის ნაკვეთზე ექსპროპრიაციის უფლება მიენიჭა საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს (ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე 2015 წლის 24 აგვისტოს).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2015 წლის სექტემბრის თვეში საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი გეგმავს სასამართლოში განცხადების შეტანას, რათა მოიპოვოს ექსპროპრიატორის უფლება სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–3 მუხლის მე–2 პუნქტის შესაბამისად უძრავი ქონების მესაკუთრეს დამატებით ეცნობება სასამართლოში განცხადების შეტანისა და განცხადების განხილვის შესახებ.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2015 წლის 18 აგვისტოს №1–1/352 ბრძანებით განსაზღვრული მესაკუთრე, რომლის ქონებაზეც უნდა გავრცელდეს ექსპროპრიაციის უფლება:

1. ამირან შანიძის (პ/ნ: 60002010299) საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდი № 03.05.23.213, მიწის ნაკვეთის მთლიანი ფართი 260 კვ.მ) პროექტისათვის საჭირო საექსპროპრიაციო მიწის ნაკვეთის ფართი: 260 კვ.მ;

2. ამირან შანიძის (პ/ნ: 60002010299) საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდი № 03.05.23.214, მიწის ნაკვეთის მთლიანი ფართი 272 კვ.მ) პროექტისათვის საჭირო საექსპროპრიაციო მიწის ნაკვეთის ფართი: 272 კვ.მ.

◎ გვიმრავლოს!

ქუთაისის რაგბის კომპლექსი უდიდესი და უმშვენიერესია...

საქართველოში ყველაზე დიდი სარაგბო ბაზა „აია არენა“ ქუთაისში ოფიციალურად სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ტარიელ ხეჩიკაშვილმა გახსნა.

კომპლექსი ევროპული სტანდარტების გათვალისწინებით მოეწყო და მის მშენებლობაზე 11 მლნ ლარი დაიხარჯა. ბაზაზე განთავსებულია 4 მოედანი — 3 სათამაშო და 1 სავარჯიშო. ცენტრალური სტადიონი 4 860 მაყურებელზეა გათვლილი, მეორე მოედანი 1 330 მაყურებელს იტევს, მესამე სტადიონი კი 751-ადგილიანია. კომპლექსი აღჭურვილია საკონფერენციო, სატრენაჟორო და მოსასვენებელი ოთახებით, მატჩის კომისრის ლოჟით, ექიმისა და დოპინგ-კონტროლის კაბინეტებით. მიმდინარეობს სასტუმროს მშენებლობა.

„აია არენას“ ტერიტორია მოიცავს 9 ჰექტარს და საქართველოს მასშტაბით ყველაზე დიდი სარაგბო ბაზაა. ქუთაისის სარაგბო ბაზა საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ დაფინანსებით ასოციაცია „ატუმ“ მოაწყო.

კობა კობახიძე

◎ ფეხბურთი

ყველაზე ძვირი ტრანსფერები

2015 წლის ზაფხულის სატრანსფერო ფანჯარა დახურულია. გუნდებმა ბოლო წლებში ჩამოყალიბებული ტრადიციის თანახმად ხმაურიანი ტრანსფერები საკმაოდ გაჩარხეს. ამ მხრივ წლეულს განსაკუთრებით ინგლისური „მანჩესტერ სიტი“ გამოირჩა, რომელმაც რაჰიმ სტერლინგისა და კევინ დე ბრუინის სანაცვლოდ მსუყე თანხა გაიღო.

ორივე ზემოხსენებული ახლაგაზრდა ფეხბურთელი ისტორიაში 20 ყველაზე ძვირადღირებულ ტრანსფერში შედის.

დანარჩენს კი უფრო უკეთ ფოტოკოლაჟში გაეცნობით.

გიორგი შოთაძე

◎ ჩოგბურთი

ნადალის რევანში და მეორე წრე

სადღეისოდ რეიტინგის მერვე ნომერმა რაფა ნადალმა ამერიკის ღია პირველობის სასტარტო მატჩში 18 წლის ხორვატი ბორნა ჩორიჩი 6:3, 6:2, 4:6, 6:4 დაამარცხა. მეორე წრეში ესპანელი არგენტინელ დიეგო შვარცმანს შეხვდება.

რეიტინგში 33-ე საფეხურზე მყოფი 18 წლის ბალკანელის ძლევას მალიორკელმა 2 საათი და 47 წუთი მოანდომა. ამ სათამაშო დროის განმავლობაში რაფამ 5 ბრეიკი და 6 ეისი შეასრულა. 29 წლის ნადალმა ჩორიჩთან პირადი შეხვედრების ანგარიში 1:1 გახადა.

„ჩემი აზრით, კარგად ვითამაშე, პირველი 2 სეტი კი სულაც მაღალ დონეზე ჩავატარე. შემდეგ ცოტათი დავიღალე, რაც ჯანმრთელობასთანაა დაკავშირებული. მუცლის პრობლემის გამო თავს იდეალურად ნამდვილად არ ვგრძნობდი. მეოთხე პარტიაში ყველაფერი თავის ადგილას დადგა, კვლავ აგრესიულად ავთამაშდი და მნიშვნელოვანი გამარჯვებაც ვიზეიმე“, — განაცხადა რაფამ ნამატჩევს.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ჩემპიონატის გამოძახილი

სირბილის „შავი ძალები“

ეს-ესაა ჩინეთში მძლეოსნობაში მსოფლიო ჩემპიონატი დამთავრდა. ბევრ დიდებულ სპორტულ მიღწევასთან ერთად, მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში რამდენიმე მეტად საგულისხმო, თუმცა კი აშკარად არახალი ამბავი მოექცა: რატომაა, რომ სირბილით ყველანი დარბიან, მედლებს კი, აბსოლუტურ უმრავლესობაში, შავკანიანი სპორტსმენები იღებენ?

ბევრი „თეორი“ ქვეყანა დიდი ხანია, ხალისით უღებს სახლის კარს შავკანიან სპორტსმენებს საიმისოდ, რომ მათ ეროვნული ნაკრებები გაუძლიერონ სპორტის ამა თუ იმ სახეობაში, განსაკუთრებით შესამჩნევი კი ეს ტენდენცია მძლეოსნობაში იკვეთება.

დიდი ხანია შემჩნეულია, რომ უმაღლესი რანგის საერთაშორისო შეჯიბრებებში საშუალო და გრძელ დისტანციებზე სირბილში ოქროს მედლების უმეტეს ნაწილს **კენიელები და ეთიოპიელები** ისაკუთრებენ. მეცნიერები ამ ფენომენს რამდენიმე ფაქტორით ხსნიან. კერძოდ: **კენიელებიც და ეთიოპიელებიც საშუალო სიმაღლის მთიანეთში ცხოვრობენ — ზღვის დონიდან 2.500 მეტრის სიმაღლეზე, ამდენად ჟანგბადის უკმარისობისადმი დიდი ხანია ადაპტირებულები არიან, მაშასადამე დატვირთვებს უფრო ადვილად იტანენ.** გარდა ამისა, არსებობს კვების თავისებურებებიც: ჩვენგან განსხვავებით, მათ რაციონში ნაკლებია ცხიმები, სამაგიეროდ მრავლადაა ნახშირწყალბადები, განსაკუთრებით სიმინდის სახამებლის სახით. და ბოლოს, სირბილი — **ეს ისაა, რაც აფრიკელებს ოდითგანვე ეხმარებოდა თავის გადარჩენაში.** ისინი საათობით, უიარაღოდ, მსხვერპლს დასდევდნენ, ვიდრე ის ულონოდ არ დაეცემოდა. **კენიელი მოსწავლე „თავის საკმეებზე“ ყოველდღიურად საშუალოდ 10 კილომეტრს დარბის.**

თუმცა, არსებობის გარემო ერთია, მაგრამ არის კიდევ გენეტიკაც. **სწორედ გენეტიკის წყალობაა, რომ კენიელებსა და ეთიოპიელებს ნელი კუნთოვანი ბოჭკოების მაღალი პროცენტი აქვთ, რომლებიც გამძლეობაზეა პასუხისმგებელი. მათი ჩონჩხი მსუბუქია, ძვლები — ვიწრო, წვივები — ევროპელებზე გაცილებით წვრილი. ყველაფერი ეს სირბილის დროს ძალის დაზოგვის საშუალებას იძლევა, ამიტომაცაა, რომ გრძელ დისტანციებზე სირბილი მათთვის გაცილებით ადვილია.**

სამაგიეროდ, კენიელებსა და ეთიოპიელებს შორის, ფაქტობრივად, არ არიან უნიკალური **სპრინტერები.** მოკლე დისტანციებზე „მეფეები“ **იამაიკელები და აფროამერიკელები** არიან. ამის ყველაზე მკაფიო მაგალითია 100 მეტრზე სირბილში მსოფლიო ჩემპიონი უსეინ ბოლტი, რომლის რეკორდია 9,58 წამი (!). მათი გენები ისეა მოწყობილი, რომ სპრინტერული სირბილისთვის სხეულის ტორსისა და კიდურების სიგრძის საუცხოო შეფარდებას იძლევიან — 55/45 პროცენტი. თანაც მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ ევროპელებსა და აზიელებში გავრცელებული მუტაცია, რომელიც კუნთების ჩქაროსნულ თვისებებს ამცირებს, აფროამერიკელებსა და იამაიკელებში თითქმის არ გვხვდება.

საქმე კიდევ ის არის, რომ **სპორტულ თვისებებს შორის ყველაზე ძნელად სავარჯიშებელი სიჩქარე და მოქნილობაა,** ისინი პირდაპირ გენებზეა დამოკიდებული: ჩონჩხის, კუნთების აგებულებაზე, ნერვული სისტემის ორგანიზაციაზე (რამდენად სწრაფად მიდის სიგნალი თავის ტვინში და რამდენად სწრაფად ხდება მისი დამუშავება). მაგალითად დადგენილია, რომ **ნეგროიდული რასის წარმომადგენლები სიგნალებს თეთრკანიანებზე უფრო ჩქარა ამუშავებენ, მაშასადამე, რეაქციაც უკეთესი აქვთ.** ამიტომაცაა, რომ ამდენი ჩინებული შავკანიანი მოკრივეა — მოწინააღმდეგის დარტყმამდე წინ ისინი გადაწყვეტილებას გაცილებით სწრაფად იღებენ.

ამდენად, გასაგებია, რომ გენების ის ვარიანტები, რომლებიც კენიელებში ან იამაიკელებში დღესდღეობით ჭარბობს, მათი იზოლაციის გამო, საუკუნეების მანძილზე გროვდებოდა. გამორიცხული არ არის, რომ მსოფლიოს ნებისმიერ სხვა კუთხეშიც დაიბადოს ბავშვი, რომელიც კენიელებზე ან იამაიკელებზე ნაკლებად არ ირბენს, მაგრამ შერჩევის საგანგებო მეთოდებისა და სპეციალური ტესტირების გარეშე მათი „გამოტოვება“ ძალიან ადვილია. სწორედ ამაზე მუშაობენ ამჟამად ჩინელები, ამდენად მძლეოსნობაში ჯერჯერობით მათი მორიდებული შედეგები ნურავის დააბნევს — მიღწევებამდე მისვლა მხოლოდ დროის საქმეა. გახსოვთ ის დრო, როცა ჩინელები მსოფლიო კლასის კალათბურთელის ყოლაზე ვერც იოცნებებდნენ? მაგრამ, ის ხომ გამოჩნდა?!...

ამდენად, მთავარია საქმისადმი საფუძვლიანი მიდგომა, თანაც ყველა დისციპლინაში მცოდნე სპეციალისტების ყოლა.

ნინო ალექსანდრია

◎ ინტერნეტიდან

ბარ რაფაელი კატალონიელთა სიყვარულით იწვის

წარმოუშობით ებრაელი ტოპ-მოდელიმ ბარ რაფაელის შესახებ მთელმა მსოფლიომ იცის, რომ კატალონიის „ბარსელონაზეა“ გულშევარდნილი და ამ კლუბის ერთგულებაც არაერთხელ დაუმტკიცებია. სულ ბოლოს კატალონიელებს ჰაი-ჰაი რომ დიდებული სეზონი ჰქონდათ, მაგრამ ბარ რაფაელი მიღწეულით არ კმაყოფილდება.

თავის ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში ებრაელი მოდელი ამბობს, რომ „ბარსელონა“ მუდმივად უნდა პროგრესირებდეს და მას დიდი იმედი აქვს, რომ „ბროწეულები“ მსოფლიოში უპირველესნი კიდევ დიდი ხნის განმავლობაში იქნებიან. ბარ რაფაელი ამბობს, რომ მიღწეულზე შეჩერება მხოლოდ ლუზერთა ხვედრია.

აი, სწორედ „ბარსელონას“ ასეთი ფანატიკური ერთგულება და სიყვარულია იმის მიზეზი, რომ კატალონიური გუნდის ხელმძღვანელებმა და ქომაგებმა ბარ რაფაელი კლუბის თილისმად ოფიციალურად შერაცხეს და სხვა მრავალ ცნობილ ლამაზმანს შორის სწორედ ეს ასული გამოარჩიეს. ისე კი, გამოსარჩევი ბარ რაფაელს მართლაც რომ ბევრი აქვს...

როსტომ რაჭველიშვილი

ეპიტაფია

ლერი ფავლენიშვილი



ქართულმა ხელოვნებამ დიდი დანაკლისი განიცადა, მხატვართა საზოგადოებას გამოაკლდა ცნობილი მხატვარი-არქიტექტორი **ლერი ფავლენიშვილი**.

იგი 1960-1966 წწ. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში, ხოლო 1990-1993 წწ, საფრანგეთში, ტულუზის ნატიფ ხელოვნებათა აკადემიაში.

ლერი ფავლენიშვილი — საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი 1976 წლიდან, საფრანგეთის მხატვართა ასოციაციის EMPRINEE D'ART-ის წევრი,მიღებული აქვს საფრანგეთის რენე პუსის ფონდის უმაღლესი ჯილდოები1992,2008, 2009 წწ. ამავე ფონდის მიერ შეყვანილია საფრანგეთში მოღვაწე საუკეთესო მხატვრების სიაში,რომელშიც შედიან ისეთი მხატვრები, როგორიცაა პიკასო, დალი, შაგალი, მაიოლი, მატისი და სხვ.. მონაწილეობდა მრავალრიცხოვან გამოფენებში პარიზსა თუ მადრიდში, ტულუზასა თუ ზაარბრიუკენში, მოსკოვში და ყველგან საამაყოდ წარმოადგენდა თავის სამშობლოს, და, რაც უმთავრესია, თავისი შემოქმედებით საქართველოს გულშემატკივრად აქცევდა უცხოელ კოლეგებს.

იგი იყო უბადლო ფერმწერი, დაუცხრომელი ექსპერიმენტატორი, უფაქიზესი ილუსტრატორი. აღსანიშნავია მის მიერ მხატვრულად გაფორმებული წიგნები: „მცხეთა" (ათტომეული), „ბიჭვინთის ნაქალაქარი" (სამტომეული), „არქეოლოგიის ლექსიკონი", „საქართველოს სამონეტო განძები", და განსაკუთრებით ვახუშტი ბაგრატიონის „საქართველის ატლასი"... უმშვენიერესი, განსხვავებული დატვირთვის მქონე თბილისის ფოტოალბომი... მის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს პორტრეტულ ჟანრს.

არქეოლოგიური ექსპედიციების გვერდაუვლელი მხატვარ-არქიტექტორი, ძეგლების აზომვის სწორუპოვარი სპეციალისტი, რომელიც სრულყოფილად ფლობდა თანამედროვე კომპიუტერულ სივრცეს....

ბ-ნი ლერი უცხო ენების ინსტიტუტის ორკესტრის პიანისტობით დაწყებული — გიტარით დამთავრებული... რა ჯურის მუსიკას არ ასრულებდა ნაირ-ნაირ ინსტრუმენტზე... არ სჯერდებოდა აკომპანიმენტს და კლასიკურ კომპოზიციებს ეჭიდებოდა... განსკუთრებული და ჭეშმარიტი ჯაზმენი იყო... ახლის მეყსეული აღქმის საოცარი ალღოთი ხასიათდებოდა, გოლფის ფედერაციის პრეზიდენტი იყო და ყველას გვახარებდა თავისი უკიდეგანო ნიჭიერებით.

იგი პოლიგლოტიც იყო და არა მხოლოდ ევროპულ ენებს, არამედ აღმოსავლურ ენებსაც ფლობდა.

ასე ინება განგებამ, რომ მისი წასვლით გამოწვეული ტკივილი მთელი სიმძაფრით შეგვეგრძნო. მაგრამ, ვფიქრობთ, რომ ლერის გულის ამაჩუყებელი სიტყვები არ შეეფერება. ის დახვეწილი, არაორდინალური პიროვნება იყო, გვხიბლავდა მომავლის თავისეული აღქმით. დიდად დავისაკლისებთ ლერის სათუთ დამოკიდებულებას ჩვენდამი. მისი არსებობა ძალისა და სიმხნევის მომცემი იყო ჩვენთვის ამქვეყნიურ მანკიერებებთან ბრძოლაში. იგი გვაოცებდა თანამედროვე ხედვით. რბილი ხასიათის მიუხედავად, გამოირჩეოდა მომთხოვნელობითა და ყოველგვარი უსამართლობის წინააღმდეგ უკომპრომისო დამოკიდებულებით.

წავიდა ჩვენგან მომხიბლავი პიროვნება, შესანიშნავი შვილი, ძმა, მეუღლე, მამა, ბიძა და პაპა, მოყვასზე მზრუნველი ადამიანი, უღალატო კოლეგა, შესანატრი ინტელექტისა და ერუდიციის მქონე, იუმორით აღსავსე, თავაზიანი, მოკრძალებული, კეთილშობილი ინტელიგენტი.

ყველას წინაშე ვალმოხდილი დაუდეგარი მოგზაური ცათა სასუფევლის გზას გაუდგა...

ლერი ფავლენიშვილის სახელი სამუდამოდ დარჩება მისი მეგობრებისა და კოლეგების ხსოვნაში.

საქართველოს მხატვართა კავშირი

სანთელი

ზაირა არსენიშვილი

თანამედროვე ქართულმა მწერლობამ და კინემატოგრაფიამ მტკივნეული დანაკლისი განიცადეს.

გარდაიცვალა თვალსაჩინო ქართველი მწერალი და კინოსცენარისტი **ზაირა ივანეს ასული არსენიშვილი,** მრავალმხრივი, მრავალწახნაგოვანი შემოქმედი, ფართო თვალსაწიერის მქონე, თხემით ტერფამდე დახვეწილი ინტელიგენტი, ღვთიური მადლით, სულიერებით სავსე პიროვნება..

ზაირა არსენიშვილი დაიბადა 1933 წლის 30 ნოემბერს ქალაქ თელავში. 1949 წელს საშუალო სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა და სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც 1954 წელს დაასრულა.

უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ ზაირა არსენიშვილი სხვადასხვა დროს მუშაობდა თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ორკესტრის მსახიობად (მევიოლინედ), კინოსტუდია „ქართული ფილმის" კინოდრამატურგთა გაერთიანების რეზო თაბუკაშვილის სახელოსნოში, კინოსტუდიის მეორე შემოქმედებითი გაერთიანების უფროს რედაქტორად, საქართველოს კულტურის სამინისტროსთან არსებული კინოცენტრის სასცენარო კომისიის წევრად... სადაც კი იმუშავა, ქალბატონმა ზაირამ ყველგან საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა ჯერ როგორც უზადო პროფესიონალმა, შემდეგ კი კეთილშობილებითა და სათნოებით გამორჩეულმა პიროვნებამ.

ზაირა არსენიშვილი ლიტერატურულ-შემოქმედებით მოღვაწეობას გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან ეწეოდა, როდესაც ქართულ სალიტერატურო პერიოდიკაში ზედიზედ გამოქვეყნდა მისი მოთხრობები. ამ მოთხრობებმა იმთავითვე მიიპყრო მკითხველისა და სალიტერატურო საზოგადოების ყურადღება უშუალობით, მწერლური ოსტატობით, საგნებისა თუ მოვლენების უბადლო აღწერის უნარით, ადამიანური თანალმობით და თანაგრძნობით. განსაკუთრებით საყურადღებო გამოდგა ალეგორიული ხასიათის მქონე, ტრაგიზმით და დრამატიზმით აღსავსე მოთხრობა „შაჰბაზა", ზაირა არსენიშვილის ნიჭიერების ერთი უმშვენიერესი დასტური. მას შემდეგ ზაირა არსენიშვილის მოთხრობები, რომანები, კინოსცენარები პერიოდულად ქვეყნდებოდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში, გამოდიოდა ცალკე წიგნებად, საფუძვლად ედებოდა კინოსტუდია „ქართულ ფილმში" გადაღებულ მხატვრულ კინოფილმებს.

ზაირა არსენიშვილის რომანებისა და მოთხრობების კრებულები „რეკვიემი ბანის, სოპრანოსა და შვიდი ინსტრუმენტისათვის, ანუ ახალგაზრდა მთხზველის პორტრეტი", „ვა, სოფელო", „კოლაჟი მთვარის შუქზე", „თელავიდან თბილისამდე" თანამედროვე ქართული პროზის მიღწევათა რიგს მიეკუთვნება. ამ რომანებში მწერალმა დამაჯერებლად, მთელი სისავსით აღწერა XX საუკუნის საქართველოს ნათელ-ჩრდილები, ტკივილამდე მისული ტრაგიზმით დაგვანახვა გასული საუკუნის 30-იანი წლების ტრაგიკული მოვლენები... ზაირა არსენიშვილის რომანების გმირები უფსკრულში გადაკიდებულ ნამეხარ ხეებს წააგვანან, დასაღუპად განწირულ ხეებს, რომლებსაც თუ რამ აკავებდათ ცოდვით დაცემულ დედამიწაზე მხოლოდ იმის შეგრძნება, რომ ჭკუა და აზროვნება თავისუფლების გარეშე არ არსებობს. აზროვნება უკვე ნიშნავს თავისუფლებას, მაგრამ როცა თავისუფლებას ებრძვიან, ძალიან ხშირად აზროვნება გმირობას ნიშნავს. კიდევ ერთი ნიშანი, რაც ამ პერსონაჟებს გამოარჩევთ, ისაა, რომ მიუხედავად წარმოუდგენელი ფიზიკური თუ სულიერი გვემისა, ისინი არ ჰკარგავენ თანაგრძნობისა და მიტევების უნარს, კარგად აქვთ გასიგრძეგანებული, ყველამ რომ ის მიიზღოს, რისი ღირსიც არის, ქვეყანა ჯოჯოხეთად გადაიქცეოდა...

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ზაირა არსენიშვილის ღვაწლი ქართული კინემატოგრაფიის განვითარებაში. მისი კინოსცენარების მიხედვით იქნა გადაღებული დიდი ქართველი რეჟისორის ლანა ღოღობერიძის ისეთი გახმაურებული ფილმები, როგორიცაა „როცა აყვავდა ნუში", „აურზაური სალხინეთში", „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე", „დღეს ღამე უთენებია", „ორომტრიალი", „ვალსი პეჩორაზე".

ზაირა არსენიშვილის მრავალწლიანი შემოქმედებითი მოღვაწეობა სამგზის აღინიშნა საქართველოს სახელმწიფო პრემიით. მინიჭებული ჰქონდა აგრეთვე „საგურამოს" პრემია.

საოცრად თბილი, მოსიყვარულე, უანგარო, სიკეთითა და სათნოებით აღსავსე — ასეთი დაამახსოვრდებათ ზაირა არსენიშვილი მის მეგობარ მწერლებსა და კინომოღვაწეებს, მისი შემოქმედების თაყვანისმცემლებს.

საქართველოს მწერალთა კავშირი

რეკლამა
მაჩაბლის ქ. №7.
„საქართველოს რესპუბლიკაში"
29 3-37-87

ინფორმაცია

სახლი დაგვინგრიეს, აშენებას ბოლო არ უჩანს!

თბილისში, მარჯანიშვილის 16 ნომერში მცხოვრები მოქალაქეები მათი კუთვნილი საცხოვრებელი კორპუსის დროულად დასრულებას ითხოვენ. ამ მოთხოვნით ათამდე მოქალაქემ მარჯანიშვილის 16 ნომერთან აქცია გამართა.

აქციის მონაწილეთა თქმით, 4 წლის წინ „თბილისის განვითარების ფონდმა" იტალიური ეზოს სანაცვლოდ საცხოვრებელი კორპუსის აშენება დაიწყო. მშენებლობა ერთ წელში უნდა დასრულებულიყო, თუმცა, უკვე ოთხი წელია არ დასრულებულა.

აქციის მონაწილეების თქმით, გარდა საცხოვრებელი კორპუსის დროულად დასრულებისა, ისინი ითხოვენ, რომ მათ კუთვნილ კორპუსს კომერციული ფართის სანაცვლოდ ეზო გაუკეთონ.

მარჯანიშვილის 16 ნომერში მცხოვრები მოქალაქეების საპროტესტო აქციას სოლიდარობა უფლებადამცველმა ლექსო კობაიძემაც გამოუცხადა. ლექსო კობაიძე თბილისის მერიას და შესაბამის ორგანოებს სთხოვს, გაითვალისწინონ მოქალაქეების სამართლიანი მოთხოვნები.

ფოტოფაქტი



ლონდონის ზოოპარკში ინვენტარიზაცია მიმდინარეობს — მის ყველა ბინადარს ზომავენ და წონიან.

ფოტოზე იბერიული გომბეშო — მეანეა, რომელიც სულ 0,5 გრამს იწონის. არადა ეს ზოოპარკის ყველაზე ცქნაფა ბინადარი არ გახლავთ — იქ ტროპიკული ლოკოკინებიც ბინადრობენ, რომელთა სხეულის წონა სულ 2 მილიგრამია.

◎ უცხოური პრესიდან

ქართული ღვინის წარსულის გემო...

WASHINGTON POST-ი საქართველოს შესახებ სტატიას აქვეყნებს

Washington Post-ი საქართველოს შესახებ კიდევ ერთ სტატიას აქვეყნებს. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინფორმაციით, გავლენიანი გამოცემის ჟურნალისტი დევიდ მაკლინტრი ქართული ღვინის ტექნოლოგიას გაეცნო. „რატომ უნდა ვიცოდეთ ქართული ღვინო? იმიტომ, რომ შესანიშნავია. ფრანგული, იტალიური და ესპანური ყურძნის ჯიშები კლასიკურ ევროპულად მოიაზრება, მაგრამ ღვინის სამშობლოდ კავკასიის რეგიონი სახელდება, იქ სადაც ევროპა და აზია ერთმანეთს კვეთს, სადაც უძველესი სავაჭრო გზა მთებს, შავ ზღვას და სპარსეთს ჭრიდა, სადაც ბიბლიის მიხედვით, არარატის მთაზე კიდობანის გაჩერების შემდეგ ნოემ ვენახი გააშენა, სადაც არქეოლოგიური კვლევებით დასტურდება ღვინის წარმოების უძველესი ნაშთები, არქეოლოგებმა უძველეს ქვევრში ვაზის ყვავილის მტვრის მარცვლები აღმოაჩინეს (ქვემო ქართლში, ხრამის დიდ გორაზე). მოდით ვეწვიოთ ღვინის სამშობლოს, საქართველოს. თუნდაც იმიტომ, რომ ქართული ღვინის შეძენა აშშ-ში შესაძლებელია. ქართული ღვინო შესანიშნავია. ეს ქვეყანა შემოგთავაზებთ ყველაფერს, რაც თანამედროვე ღვინის მოყვარულს აინტერესებს. ადგილობრივი ვაზის ჯიშები სხვაგან თითქმის არც მოიპოვება. თანამედროვე სტილის ღვინოს ხილის არომატი აქვს. ქართველები საუკუნეების განმავლობაში ტრადიციული მეთოდით აყენებენ ღვინოს, ღვინის დაჭაშნიკებით კი შეგიძლიათ წარსულის გემო გასინჯოთ. ძველი ღვინოსულ უფრო პოპულარული ხდება და ძვირია. საქართველო პატარა ქვეყანაა, ღვინის მცირე წარმოებით, მაგრამ მისი პოტენციალი ძალიან დიდია“, — ამბობს ლიზა გრანიცა, ღვინის სპეციალისტი. (ქართული ღვინოს პრეზენტაცია ბორდოში, Vinexpo-ს საერთაშორისო ბაზარი).

საქართველოს იმიჯი და პოპულარობა ქვევრში ღვინის დაყენების უძველეს ტექნოლოგიას უკავშირდება. თიხის ეს ჭურჭელი მიწაშია ჩამარხული. თანამედროვე ღვინის სახეობების უმრავლესობა შემდეგნაირად მზადდება: ყურძნის წვენს ნაჭუჭისა და თესლებისგან სწრაფად აცალკევებენ, უძველესი წესის მიხედვით ქვევრში ფერმენტაციის მიზნით ერთად ათავსებენ სითხეს, ყურძნის კანს, ღეროს და თესლს. შედეგად კი ვიღებთ მუქი ფერის, მშრალ ღვინოს. ფერმენტაცია, გავლილ თეთრ ღვინოს დღეს ნარინჯისფერ ღვინოს ეძახიან. მამუკა წერეთელი საქართველოდან აშშ-ში, ვაშინგტონში ღვინის იმპორტით არის დაკავებული. ის ასეთ ღვინოს ქარვისებრ ღვინოს უწოდებს.

საქართველოში ვაზის დაახლოებით 500 ჯიშია. ღვინის მთავარი კუთხე კახეთია, იქ, სადაც კავკასიონის მთები ჩრდილო დასავლეთიდან სამხრეთ აღმოსავლეთისკენ არის გადაჭიმული, თუმცა, მეღვინეობა მთელ საქართველოშია გავრცელებული. ქართული ღვინის იმპორტიდან აშშ-ში ყველაზე გავრცელებულია „რქაწითელი“, „მწვანე“ და „წითელი საფერავი“. ქვევრში დაყენებული წითელი ღვინო შეიძლება ტკბილი იყოს, ის ცივ ტემპერატურაზე ინახება, რა დროსაც ფერმენტაცია ნელდება. ასეთი ტიპის ღვინო ბაზარზე ხელმისაწვდომია. საკმაოდ არომატულია „საფერავი“, თამბაქოს ფოთლებისა და ხილის გემოთი. საფერავი ფრანგულ „Cabernet Franc“ ჰგავს. თუმცა კარგი საფერავი და ქართული ღვინის უმრავლესობა ისეთ რამეს ფლობს, რაც სხვა ღვინოს არ გააჩნია. მისი გემო საუკუნეებს ითვლის, სურნელი კი უძველეს წარმომავლობას“, — წერს Washington Post-ი.

ყურადღება!

იყიდება დიდ დიღომში, „იმედის“ კლინიკის სიახლოვეს მდებარე 1400 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალურად არის შემოღობილი და განაშენიანებული სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგაობით. დატოვებულია ადგილი როგორც საცხოვრებელი სახლისთვის, ისე საცურაო აუზისა და სასპორტო მოედნისთვის. ნაკვეთთან მიყვანილია გაზი, დენი, კანალიზაცია, წყალი შეყვანილია. ფასი შეთანხმებით. **ტელ: 599 168 171; 598 51 81 35.**

რეკლამა
29 3-37-87
მაჩაბლის ქ. №7.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

ორი დაქალი ხვდება ერთმანეთს:

— ჩემო კარგო, რა არის, როგორ გასუქებულხარ!..

— ახლა კიდევ მაგრად გავხდი! შენ ერთი თვის წინათ უნდა გენახე!!! შენზე გაცილებით მომატებული მქონდა წონა!

* * *

„რა ვქნა, დავიტანჯე, გავილიე კაცი ამ უსასრულო ლოდინში! რამდენი წელი გავიდა, მე კი სულ ველოდები... როდისღა?! როდის იქნება, რომ ცხოვრებაში სინუსები და კოსინუსები რამეში მაინც გამომადგება?!..

* * *

ზაფხულობით, როცა აგარაკის ღია ფანჯრებში ღამის სიგრილე ნელ-ნელა შემოიპარებოდა ოთახში, თავადის ქალი როიალთან ჯდებოდა, ნატიფი გრძელი თითებით სპილოს ძვლის კლავიშებს ეხებოდა და დაბალ ხმაზე... ამწყობს აგინებდა...

* * *

ძმარმა ცოლს საყვარელთან წაასწრო, გაუქანა და ლეწა ამ ტიპს. ცოლი ლოგინიდან ყვირის:

— სწორია! ამ ბინაში ეგ კაცი ჩაწერილი არ არის, ყოველ დღე კი მოდის!

საყვარელი მიუტრიალდა ქმარს და იმანაც გაარტყა.

— ცოლი:

— სწორია! თვითონ არ შეუძლია და სხვებსაც უშლის!

* * *

— თქვენ დაასრულეთ ჩემი პორტრეტის ხატვა?

— დიახ.

— კი მაგრამ, ტილოზე მხოლოდ წარწერაა „გამოქლიავებული“!..

— დიახ, ასეთია ჩემი მხატვრული ხედვა...

◎ კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა მაშაკიძე